დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართული ტრადიციული მუსიკა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2025 წლის 3 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 02/02/2026

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი მარგარეტ როსი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორია, შოტლანდია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ხორბალაძე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ტაბლიაშვილი, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია გეგელაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ქართული ტრადიციული მუსიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Georgian Traditional Music
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[2]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

---

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[2] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია ავთენტური ქართული მუსიკალური შესრულების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით და იგი ეფუძნება ტრადიციული სიმღერის, გალობისა და ინსტრუმენტული მუსიკის საუკუნოვან პრაქტიკას. პროგრამა სპეციალურად შემუშავებულია ტრადიციული შესრულების ავთენტურ ფორმებზე დაყრდნობით და ეფუძნება როგორც აკადემიურ საჭიროებებს, ისე შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს.

პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისგან და მისი ხანგრძლივობა 3 წელია. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ტრადიციული მუსიკა) - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამის მიზანია სოლისტის პროფესიული უნარების განვითარება, იმპროვიზაციის შესაძლებლობების გაძლიერება და ვოკალური ხაზის სრულყოფილი დაუფლება. სტუდენტები ასევე იძენენ საბაზისო ცეკვის უნარებს, აქტიური მონაწილეობის გზით სწავლობენ ცეკვასთან დაკავშირებულ სიმღერებს და ეუფლებიან ტრადიციულ ქართულ საკრავებს, რაც უზრუნველყოფს ტრადიციული კულტურისთვის დამახასიათებელ მრავალმხრივ, ინტეგრირებულ ცოდნას.

სწავლების პროცესს უხელმძღვანელებენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერები და შემსრულებლები, რომლებიც თითოეულ კურსში აერთიანებენ პრაქტიკულ, თეორიულ და შემოქმედებით კომპონენტებს. პროგრამა აერთიანებს საუნივერსიტეტო საგნებსა და მუსიკალურ მომზადებას, ხოლო პროგრამის დასკვნითი ნაწილი მოიცავს ტრადიციულ გარემოში ინტენსიურ პრაქტიკულ სწავლებას, რაც საშუალებას იძლევს სტუდენტებმა გამოიყენონ შეძენილი ცოდნა და წარმოადგინონ იგი განახლებული ინტერპრეტაციით.

კურსდამთავრებულები მზად არიან იმუშაონ ხალხური და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებში, კულტურულ დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო სფეროში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მრავალფეროვანი უნარები საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოიჩინონ დამოუკიდებელი ინიციატივები — მაგალითად, ჩამოაყალიბონ სამოყვარულო ანსამბლები— და უზრუნველყოფს მყარ საფუძველს ტრადიციული მუსიკის შემდგომი აკადემიური შესწავლისთვის.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- საქართველოს უნივერსიტეტმა მოამზადა თვითშეფასების ანგარიში (SER) ინგლისურ ენაზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.
- ექსპერტთა ჯგუფმა, საერთაშორისო თავმჯდომარის ჩათვლით, შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ქართულ და ინგლისურ ენებზე.

- სამდღიანი აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22-24 სექტემბერს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

ანგარიში მომზადდა კოლაბორაციულად, თავმჯდომარის უშუალო ხელმძღვანელობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული გზამკვლევის - „სახელმძღვანელო ექსპერტებისათვის" - შესაბამისად. ჯგუფის ყველა წევრს მიეწოდა ინფორმაცია შესაბამისი პროცედურის, როლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. წინასწარ მოსამზადებელ ეტაპზე ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და ყველა თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტის ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, თითოეულ წევრს დაევალა კონკრეტული სტანდარტების შესწავლა.

ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ონლაინ მოსამზადებელი შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილეს ძირითადი საკითხები და დაისახეს პრიორიტეტები, როგორც ეს რეკომენდებულია გზამკვლევში "სახელმძღვანელო ექსპერტებისთვის". სრულყოფილი და თანმიმდევრული მომზადების მიზნით, საბოლოოდ შემუშავდა სტანდარტების განაწილების ცხრილი. განისაზღვრა ძირითადი დასაზუსტებელი საკითხები, დადასტურდა პასუხისმგებლობები და შეთანხმდა აკრედიტაციის ვიზიტის წინასწარი დღის წესრიგი.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ხუთშაბათს, 2025 წლის 3 ნოემბერს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა შემდეგ ჯგუფებს:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას
- თვითშეფასების ჯგუფს
- საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს
- დამსაქმებლებს
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს

ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება, მისი მაგალითებით დადასტურება და კრიტიკული განხილვა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. აკრედიტაციის ანგარიშის სრულყოფისა და საფუძვლიანად განხილვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტებისთვის განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კომისიის მუშაობა ხელს უწყობდა ურთიერთნდობისა და კონსტრუქციული დიალოგის გარემოს შექმნას. ამისათვის ექსპერტთა ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მიდგომები:

- დღის წესრიგის იმგვარი დაგეგმვა, რომ უზრუნველყოფილ ღია და გულწრფელი ჩართულობა;
- მკაფიო კონტექსტით გამყარებული ღია კითხვების გამოყენება;
- გამოვლენილი თემების სხვადასხვა პერსპექტივით განხილვა;
- სესიების წინასწარი გააზრებული დაგეგმვა და დისკუსიების დროს წამოჭრილ საკითხებზე მოქნილი რეაგირება.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს ვიზიტის განმავლობაში გამოჩენილი თანამშრომლობისთვის, გამჭვირვალობისთვისა და პროცესებში დეტალური ჩართულობისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა. მათ შორის, საშემსრულებლო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ონლაინ რესურსები. ვიზიტის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა წინამდებარე ანგარიში, რომელიც სტრუქტურირებულია დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას უხდის გუნდს გულთბილი მასპინძლობისთვის, კონსტრუქციული ჩართულობისთვის, მაღალხარისხიანი დოკუმენტაციისთვის და იმ კოლეგიალური მიდგომისთვის, რომლითაც ყველა მონაწილემ შეიტანა წვლილი პროცესის გამართულად წარმართვაში.

ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ ეს ანგარიში იქნება როგორც კონსტრუქციული, ისე დამხმარე დაწესებულებისთვის— არა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების თვალსაზრისით, არამედ ხელს შეუწყობს მის უწყვეტ განვითარებას და პროგრესს სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიმართულებით.

საგანმანათლებლო
პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

რეკომენდაციები

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები

1. რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის მკაფიო და დოკუმენტირებული კავშირის გაძლიერება.

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

2. რეკომენდებულია პროგრამისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ინსტრუმენტ(ებ)ს და პერიოდულობას, რათა შეფასდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება დადგენილ სამიზნე ნიშნულები.

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

3.რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს კურსზე დაშვების წინაპირობები სრული თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით;

4. ვინაიდან საკვალიფიკაციო ნაშრომი მოიცავს მრავალ კომპონენტს, რომელთა უმეტესობა პრაქტიკული/შესრულებაზე დაფუძნებულია, რეკომენდებულია დაზუსტდეს კურსის დასახელება ინგლისურად და მკაფიოდ განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომზე/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები;

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

5. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რათა სრულად და ზუსტად აისახოს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და ცალკეულ კურსებს შორის.
6. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი „განიხილავს ანსამბლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს" შესაბამისობაში მოვიდეს კურსის „ანსამბლი“ სწავლის შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან;
7. რეკომენდებულია გადაიხედოს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი ისე, რომ მოიცვას მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და საკონტაქტო საათების ზუსტი განაწილება.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

8. რეკომენდებულია შემდგომში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი ტურის შინაარსობრივი და პროცედურული მოთხოვნები.

2.3 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

9. რეკომენდებულია წერითი უნარებისა და კომპეტენციების განვითარება აკადემიური წერის სპეციალური კურსის მეშვეობით, ან მსგავსი შინაარსის კურსის ფარგლებში ინტეგრირებული ფორმატით.

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი

10. რეკომენდებულია გაიზარდოს შესაბამის სფეროში დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შესაბამისად, შემცირდეს სავალდებულო კურსებისათვის მოწვეული პერსონალის გამოყენება.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

11. რეკომენდებულია შემუშავდეს უფრო სისტემური მიდგომა პროფესიული განვითარების ტრენინგების და მათი შედეგების მონიტორინგისთვის;

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

12. რეკომენდებულია დაწესებულებამ წარმოადგინოს არა მხოლოდ გრაფიკული დიაგრამები, არამედ გამოკითხვის დროს მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის დეტალური ინტერპრეტაციაც;

რჩევები

კომპონენტი1.1 პროგრამის მიზნები

- სასურველია, რომ დაწესებულებამ პროგრამის დონეზე კიდევ უფრო განავითაროს და ოფიციალური გახადოს კურსდამთავრებულთა დასაქმების გზების აღწერა.
- სასურველია, რომ დაწესებულებამ გააერთიანოს არსებული აქტივობები ერთიან, პროგრამის დონეზე ჩამოყალიბებულ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზართან უწყვეტ შესაბამისობას.

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, გაძლიერდეს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა, რათა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სრულად იქნეს გათვალისწინებული დასაქმების სფეროს მოთხოვნები;

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, გადაიხედოს პირველი ორი სემესტრისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა.

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასურველია, შემუშავდეს და მკაფიოდ განისაზღვროს წერითი ნაშრომების/პრეზენტაციების მოთხოვნები ისე, რომ სტუდენტებს მიეცეთ კონკრეტული მითითებები, გამარტივდეს დავალებების შეფასება და ზუსტად იქნეს გაანგარიშებული სტუდენტების მიერ მათ მომზადებაზე დახარჯული დრო;

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, განმცხადებლებისთვის ჩატარდეს ღია კარის დღეები.

კომპონენტი 2.2 - პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- კურსები „ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა“ და „პრაქტიკა“ დაგეგმილია ბოლო სემესტრში; თუმცა სასურველია, რომ „ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა“ წინ უძღოდეს „პრაქტიკას“, რაც უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების უფრო თანდათანობით და თანმიმდევრულ განვითარებას.
- მიღების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასურველია გაფართოვდეს ინტეგრირებული კურსი „მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო", რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს საერთაშორისო აქტივობები გლობალური ხილვადობის გაზრდის მიზნით, გააფართოვოს აკადემიური პარტნიორობა და გაამდიდროს სასწავლო გარემო.

- სასურველია, მოწვეული ლექტორები უფრო სისტემურად ჩაერთონ მიმდინარე პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში.

კომპონენტი 4.3

- სასურველია, პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და მათი შედეგების მონიტორინგისთვის შემუშავდეს უფრო სისტემური მიდგომა.
- სასურველია, მოწვეული ლექტორები უფრო სისტემურად ჩაერთონ მიმდინარე პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

არ ეხება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები

- რეკომენდებულია უფრო მკაფიო კავშირი დამყარდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებსა და კურიკულუმის დიზაინს შორის, კურსების შინაარსისა და მოსალოდნელი კომპეტენციების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს დასაქმების გზები და კურსდამთავრებულთა პროფესიული პერსპექტივები, კურსდამთავრებულებზე სავარაუდო მოთხოვნისა და პროგნოზირებული კარიერული განვითარების გათვალისწინებით;

---

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- რეკომენდებულია შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივ კავშირს პოტენციურ დამსაქმებლებთან, რეგულარულად ჩატარდეს საკონსულტაციო შეხვედრები, შეგროვდეს უკუკავშირი და განხორციელდეს ბაზრის კვლევა.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის „უფრო მკაფიო კავშირის“ დამყარებას, უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული ფორმულირება ბუნდოვანია და არ იძლევა კონკრეტულ განმარტებას იმის შესახებ, თუ არსებული კავშირის რომელი ასპექტები მიიჩნიეს ექსპერტებმა არასაკმარისად ან გასაუმჯობესებლად. საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და პროცედურების თანახმად, შრომის ბაზრის კვლევა პროგრამის შემუშავების საკვანძო კომპონენტია. შესაბამისად, ახალი პროგრამის მომზადებისას იქმნება პროგრამის სამუშაო ვერსია, რომელიც განსახილველად წარედგინება პოტენციურ დამსაქმებლებს. მათი უკუკავშირისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ ყალიბდება საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ვერსია, რომელიც წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ამდენად, ექსპერტებს წარედგინათ დოკუმენტი, რომელმაც უკვე გაიარა ზემოაღნიშნული პროცედურები. მიგვაჩნია, რომ თუ დოკუმენტს რაიმე ელემენტი აკლდა, მკაფიოდ უნდა ყოფილიყო მითითებული და განმარტებული თუ რომელი ასპექტები იყო ნაკლული და რა უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ მომავალში. რეკომენდაცია არ მიუთითებს არცერთ კონკრეტულ კურსზე, კომპეტენციაზე ან შრომის ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნაზე, რომელთან მიმართებითაც შესაბამისობა პრობლემურად შეფასდა. მსგავსი ბუნდოვანება დაწესებულებას ართმევს შესაძლებლობას, გააანალიზოს რეკომენდაცია, როგორც შინაარსობრივად დასაბუთებული შენიშვნა და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურიკულუმის დიზაინს შორის კავშირი საერთოდ არ არსებობს, რაც რეალობას არ შეესაბამება.

მეორე და მესამე რეკომენდაციები შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ერთსა და იმავე საკითხს — კურსდამთავრებულთა დასაქმების გზებს, დამსაქმებელთა ჩართულობასა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან უწყვეტ შესაბამისობას შეეხება. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის საქმიანობაც სრულად შეესაბამება ამ რეკომენდაციებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. კარიერული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან მუდმივ კომუნიკაციას, რეგულარულ კონსულტაციებს, უკუკავშირის შეგროვებასა და შრომის ბაზრის ტენდენციების მონიტორინგს.

გარდა ამისა, აკრედიტაციის ვიზიტისას არაერთხელ განიმარტა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და პროფესიულ კომპეტენციებთან დაკავშირებული თვისებრივი ინფორმაცია მიიღება უშუალოდ დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით. ამ მონაცემების ანალიზს ახორციელებს პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც შედეგებს პროგრამის შინაარსის გასაუმჯობესებლად და გასაახლებლად იყენებს. აღნიშნული მექანიზმი წარდგენილი იყო როგორც დოკუმენტური სახით, ასევე დეტალურად განიმარტა ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, გაუგებარია რეკომენდაციების ამგვარი ფორმულირება, მით უფრო, როდესაც შესაბამისი მექანიზმები უკვე დანერგილია, წარდგენილი იყო ექსპერტებისთვის და დეტალურად განიმარტა შეფასების პროცესში. შესაბამისად, დაწესებულება ვერ ხედავს შემოთავაზებული რეკომენდაციების დამატებით ღირებულებას არსებული სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამატებით განმარტებებს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, დამსაქმებელთა ჩართულობის პრაქტიკისა და კარიერული განვითარების ცენტრის როლის შესახებ. ჯგუფი აღიარებს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლებთან კონსულტაციის, უკუკავშირის შეგროვებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მონიტორინგის ოფიციალური პროცედურები და ეს მექანიზმები წარმოდგენილი იყო აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, რეკომენდაციების მიზანი იყო არა შრომის ბაზართან კავშირის არარსებობაზე მითითება, არამედ იმის ხაზგასმა, რომ საჭიროა მეტი კონკრეტიკა, სისტემური ფორმულირება და შედეგების მტკიცებულებების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აისახება შრომის ბაზრის კვლევა კურიკულუმის დიზაინსა და კურსდამთავრებულთა კარიერულ გზებზე.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დამსაქმებლებთან კონსულტაციებისა და შიდა განხილვის პროცედურების არსებობისა, შრომის ბაზრის ანალიზსა და კურიკულუმის სტრუქტურას, კურსების შინაარსსა და კომპეტენციების ჩარჩოებს შორის პირდაპირი და ხილვადი კავშირი არ იყო საკმარისად მკაფიოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციაში. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა თანმიმდევრული და მკაფიო კავშირი იდენტიფიცირებულ შრომის ბაზრის საჭიროებებსა და ჩამოთვლილ ელემენტებს შორის:

- *პროგრამის სწავლის შედეგები,*
- *სასწავლო კურსების დონის კომპეტენციები;*
- *მექანიზმები, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ იწვევს დამსაქმებელთა წვლილი კონკრეტულ ცვლილებებს კურიკულუმში.*

შესაბამისად, რეკომენდაციის მიზანია დაწესებულების წახალისება, გააძლიეროს ამ შესაბამისობის დოკუმენტირება და გამჭვირვალობა, რათა გარე დაინტერესებულმა მხარეებმა, სტუდენტებმა და შემფასებლებმა ნათლად დაინახონ, თუ როგორ ახდენს შრომის ბაზრის კვლევა სისტემურ გავლენას კურიკულუმის დიზაინზე.

მეორე და მესამე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება, რომ დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული სტრუქტურები, მათ შორის კარიერული განვითარების ცენტრი, დამსაქმებელთა გამოკითხვები და უკუკავშირის მექანიზმები. ამის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების გზები, პროგნოზირებული მოთხოვნა და კარიერული განვითარების გზები არ იყო საკმარისად ჩამოყალიბებული პროგრამის დონეზე, არც სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში და არც სტუდენტებისა და გარე პარტნიორებისთვის ხელმისაწვდომ მასალებში. გარდა ამისა, მიუხედავად არსებული აქტივობებისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა მკაფიო მტკიცებულება ერთიანი, პროგრამაზე ორიენტირებული ჩარჩოსი, რომელიც მოახდენდა შრომის ბაზრის მონიტორინგის, დამსაქმებელთა კონსულტაციისა და კურსდამთავრებულთა მონიტორინგის ინტეგრირებას უწყვეტი გაუმჯობესების ციკლში.

ამ მიზეზით, რეკომენდაციების მიზანია დაწესებულების მხარდაჭერა შემდეგ საკითხებში:

- *კურსდამთავრებულთა დასაქმების გზების უფრო ხილვად და ანალიტიკურად დასაბუთებულ ფორმატში გადაყვანა;*
- *შრომის ბაზრის მონაცემების გამოყენების სისტემატიზაცია პროგრამის დონეზე;*
- *ინდივიდუალური ერთეულებისა და აქტივობების მიღმა, უწყვეტი განხილვის პროცესების ფორმალიზების გაძლიერება.*

დასკვნის სახით, ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რეკომენდაციები არ წარმოადგენს დაწესებულების მიერ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის კრიტიკას, არამედ მიმართულია არსებული მექანიზმების სიცხადის, თანმიმდევრულობისა და თვალსაჩინო გავლენის გაზრდისკენ, რაც გააძლიერებს სტრატეგიულ შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებს, კურიკულუმის დიზაინსა და კურსდამთავრებულთა შედეგებს შორის.

რეკომენდაციებისთვის უფრო სპეციფიკური მიდგომის უზრუნველსაყოფად, ისინი შეიცვალა შემდეგნაირად:

- *რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის მკაფიო და დოკუმენტირებული კავშირის გაძლიერება.*

ეს იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს იდენტიფიცირებული შრომის ბაზრის საჭიროებების სისტემური ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში, კომპეტენციების ჩარჩოებსა და სასწავლო კურსების შინაარსში. ეს უზრუნველყოფს მკაფიო დოკუმენტირებას იმისა, თუ როგორ განაპირობა დამსაქმებელთა უკუკავშირმა და ბაზრის ანალიზმა კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და მისი გადახედვა.

შემდეგი ორი რეკომენდაცია შეიცვალა რჩევებით:

- *სასურველია, რომ დაწესებულებამ პროგრამის დონეზე კიდევ უფრო განავითაროს და ოფიციალური გახადოს კურსდამთავრებულთა დასაქმების გზების აღწერა.*

ეს იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს კვალიფიკაციისთვის რელევანტური ტიპური დასაქმების სექტორების, როლებისა და კარიერული წინსვლის გზების იდენტიფიცირება. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაცემების სისტემური გამოყენება შემდგომში დაეხმარება პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვისა და სტუდენტთა კონსულტაციის პროცესებს.

- *სასურველია, რომ დაწესებულებამ გააერთიანოს არსებული აქტივობები ერთიან, პროგრამის დონეზე ჩამოყალიბებულ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზართან უწყვეტ შესაბამისობას.*

ეს უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებთან კონსულტაციების, უკუკავშირის ციკლებისა და ბაზრის მიმოხილვების სიხშირისა და სტრუქტურის განსაზღვრას, რაც აჩვენებს, თუ როგორ ხდება ამ პროცესებიდან მიღებული მტკიცებულებების ფორმალური ინტეგრირება პროგრამის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაში.

კომპონენტი 1.3

- რეკომენდებულია პროგრამისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ინსტრუმენტ(ებ)ს და პერიოდულობას, რათა შეფასდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან.

- რეკომენდებულია დაწესებულებამ წარმოადგინოს არა მხოლოდ გრაფიკული დიაგრამები, არამედ გამოკითხვის დროს მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის დეტალური ინტერპრეტაციაც;
- რეკომენდებულია შემუშავდეს დარგობრივი გამოკითხვის სპეციალური კითხვარები შესაბამისი კვლევის ჩასატარებლად;

რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ ისინი ერთ საერთო საკითხს ეხება და, შესაბამისად, შესაძლებელია მათზე პასუხის გაცემა ერთი კონსოლიდირებული პოზიციით.

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესები და მექანიზმები განსაზღვრულია და რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით, რომელიც სრულად მოიცავს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებში დასმულ საკითხებს.

პირველ რიგში, გვსურს შევეხოთ სამიზნე ნიშნულების საკითხს. როგორც დებულებაშია გაწერილი და როგორც შეფასების პროცესში ჩატარებული ინტერვიუების დროს არაერთხელ აღინიშნა, სამიზნე ნიშნულებს განსაზღვრავს პროგრამის განვითარების საბჭო. გარდა ამისა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამიზნე ნიშნულები არ არის სტატიკური ან ფიქსირებული ინდიკატორები; ისინი დინამიკურია და ვითარდება დროთა განმავლობაში და კონტექსტუალური ცვლილებების საპასუხოდ. შესაბამისად, მათ პერიოდულ გადახედვასა და მოდიფიცირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის განვითარების საბჭოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნათლად არის დარეგულირებული შესაბამის დოკუმენტში და ასევე დეტალურად განიმარტა ინტერვიუების დროს, ჩანს, რომ პროგრამის განვითარების საბჭოს როლისა და ფუნქციების შესახებ დამატებითი განმარტება მაინც საჭიროა. პროგრამის განვითარების საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც იქმნება ინდივიდუალურად თითოეული პროგრამისთვის. მის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, სტუდენტი ან პოტენციური სტუდენტი და დამსაქმებელი ან პოტენციური დამსაქმებელი.

ეს ორგანო ახდენს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმებით მიღებული ინფორმაციის ანალიზს, უზრუნველყოფს მონაცემთა ინტერპრეტაციას და იღებს პროფესიულ გადაწყვეტილებებს პროგრამაში ან მის კომპონენტებში ცვლილებების შეტანის შესახებ, მათ შორის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისა და პერიოდული გადახედვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია, რატომ ჩაითვალა საჭიროდ ამ რეკომენდაციების ფორმულირება, მაშინ, როცა საქართველოს უნივერსიტეტში უკვე არსებობს შესაბამისი მექანიზმები, დოკუმენტირებულია ოფიციალურად და მრავალი წლის განმავლობაში ეფექტიანად ხორციელდება.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება დაწესებულების პოზიციას სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმის, ისევე როგორც მათი მუდმივი განახლებისა და რევიზიის საჭიროების შესახებ. ასევე მისასალმებელია, რომ პროგრამის განვითარების საბჭო აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების ეტაპზე. თუმცა, ვინაიდან არ ყოფილა წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა ინფორმაციის პირველი წყარო და პროგრამის ხელმძღვანელებს

საშუალებას მისცემდა საკუთარი მოლოდინები შეედარებინათ რეალურ მდგომარეობასთან, აღნიშნული რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

კომპონენტი 1.4

- რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს კურსზე დაშვების წინაპირობები სრული თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია და კურსს „ანსამბლი“ დაემატა წინაპირობა — „ქართული ხალხური სიმღერა 4 (პრაქტიკა და თეორია)“. გარდა ამისა, დაზუსტდა საკვალიფიკაციო ნაშრომის კურსზე დაშვების წინაპირობების საკითხი.

რაც შეეხება კურსს „საველე მუშაობა“, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები წინასწარ არ გადიან სხვა საგანს, რომელიც დაკავშირებულია ამ კურსის სპეციფიკასთან, მასზე წინაპირობის დაწესება შეუძლებელია.

- ვინაიდან საკვალიფიკაციო ნაშრომი მოიცავს მრავალ კომპონენტს, რომელთა უმეტესობა პრაქტიკული/შესრულებაზე დაფუძნებულია, რეკომენდებულია დაზუსტდეს კურსის დასახელება ინგლისურად და მკაფიოდ განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომზე/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები;

ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია და კურსის სახელწოდება ინგლისურ ენაზე შესწორდა შემდეგნაირად: Bachelor’s Thesis and Practical Project.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის უსდ-ს მხრიდან შემდეგ გარკვეული ცვლილებები განხორციელდა პროგრამაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა პანელის რეკომენდაციები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებსა და გარემოებებს, რომლებიც შეფასების პროცესში, ვიზიტის დროისთვის, იქნა განხილული და გამოვლენილი.

ვინაიდან აღნიშნული შემდგომი ქმედებები შეფასების პროცესის დროს არ იყო დანერგილი, დოკუმენტირებული ან ვერიფიცირებადი, მათი გათვალისწინება შეუძლებელია პირველადი დასკვნების სისწორის განსაზღვრისას. შესაბამისად, რეკომენდაციები რჩება ძალაში და აქტუალურია იმ ფორმულირებით, როგორითაც იქნა წარმოდგენილი, ვიზიტის დროს არსებული პირობებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

- რეკომენდებულია შემუშავდეს სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და დაემატოს ძირითადი კურსების ბლოკს, რათა პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №65/N-თან;

საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციაა, საჭიროა ამ რეკომენდაციების ამოღება, რადგან მათი ფორმულირება ეფუძნება არსებული სამართლებრივი და პროცედურული კონტექსტის არასწორ გაგებას.

უნივერსიტეტმა პროგრამის აკრედიტაციის პროცესი 2025 წლის 10 ივლისს დაიწყო. შესაბამისად, პროგრამის განაცხადის მომზადებისა და წარდგენის დროს არ არსებობდა ნორმატიული დებულება, რომელიც მოითხოვდა პროგრამაში სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის სავალდებულო ინტეგრირებას. ეს ვალდებულება წარმოიშვა მხოლოდ 2025 წლის 12 აგვისტოს, როდესაც დამტკიცდა მინისტრის №65/ნ ბრძანება. ამ დროისთვის უნივერსიტეტს უკვე დასრულებული ჰქონდა აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრაციული (განმცხადებლის) ეტაპი.

გარდა ამისა, 2025 წლის სექტემბრიდან ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტებთან ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ახალი რეგულაციის დეტალების დასაზუსტებლად. ამ დაზუსტების პროცესის დასრულებისას, პროცედურულად შეუძლებელი იყო ცვლილებების შეტანა წარდგენილ დოკუმენტაციაში მას შემდეგ, რაც დაწესებულებას მიენიჭა განმცხადებლის სტატუსი.

დამატებით უნდა იქნას გათვალისწინებული თავად ნორმატიული აქტის შინაარსი. კერძოდ, ბრძანების თანახმად, სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის განხორციელების ვალდებულება ვრცელდება 2025 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხულ სტუდენტებზე და იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ კურსი უნდა განხორციელდეს პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, დეტალების დაზუსტება, კურსის შინაარსის შემუშავება და სააგენტოსთვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა დამატებით დროს მოითხოვდა. ამ მიზეზით, უნივერსიტეტმა მიიღო ზოგადი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილება სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის პირველი სასწავლო წლის მეორე (საგაზაფხულო) სემესტრში განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს უნივერსიტეტის დონეზე მიღებულ ინსტიტუციურ პოლიტიკას და პირდაპირ არ არის დაკავშირებული ამ კონკრეტული პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან ან შინაარსობრივ კომპონენტებთან. შესაბამისად, წარმოდგენილი რეკომენდაციები ვერ განიხილება როგორც შენიშვნები პროგრამის ხარისხთან ან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ რეკომენდაციებს არ აქვს პირდაპირი კავშირი პროგრამის მიზნებთან ან სწავლის შედეგებთან და, შესაბამისად საჭიროებს ამოღებას.

ექსპერტთა პანელი ეთანხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიციას ენის კურსთან დაკავშირებული რეკომენდაციის თაობაზე და აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულია.

- რეკომენდებულია შემდგომში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი ტურის შინაარსობრივი და პროცედურული მოთხოვნები.

ჩვენ ვეთანხმებით ამ რეკომენდაციას და მივიჩნევთ, რომ შემოქმედებითი ტურის შინაარსობრივი და პროცედურული მოთხოვნების შემდგომი დაზუსტება ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას.

კომპონენტი 2.3

- რეკომენდებულია ანგარიშების წერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენციები განვითარდეს ან "აკადემიური წერის" კურსის მეშვეობით, ან ინტეგრირებულად - სახელმწიფო ენის სპეციალური სავალდებულო კურსის ფარგლებში;

გთხოვთ, იხილოთ ზემოთ 1.4 კომპონენტში მითითებული შენიშვნები 2.3 რეკომენდაციასთან მიმართებით უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ .

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ის პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2.3 რეკომენდაცია ეფუძნება მოთხოვნას, რომ სტუდენტებმა მოამზადონ პრეზენტაციები და წერითი ნაშრომები საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კურსების ფარგლებში. ეს კურსები მოიცავს: საეკლესიო გალობა კილოებში, სალოტბარო ხელოვნება, გალობა I–V, ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია, საველე მუშაობა, ქართული ხალხური მუსიკალური საკრავები I–III, ქართული ხალხური სიმღერა I–V და სხვა.

თუმცა, ამჟამინდელი სილაბუსები არ მიუთითებს, სად ან როგორ უნდა შეიძინონ სტუდენტებმა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო აკადემიური წერის უნარები. შესაბამისად, ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამ რეკომენდაციის შენარჩუნებას, თუმცა მეტი სიცხადისთვის მისი ფორმულირება შეიცვალა შემდეგნაირად:

რეკომენდებულია წერითი უნარებისა და კომპეტენციების განვითარება აკადემიური წერის სპეციალური კურსის მეშვეობით, ან მსგავსი შინაარსის კურსის ფარგლებში ინტეგრირებული ფორმატით.

კომპონენტი 5.3

- რეკომენდებულია, პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია განიხილოს აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა პროგრამის დაწყებამდე, მონიტორინგის პროცესის ფარგლებში.

წარმოდგენილი რეკომენდაცია გახდა აზრთა სხვადასხვაობის საგანი დასკვნის პროექტის მიღების ეტაპზე. უნდა აღინიშნოს, რომ თავად რეკომენდაციის აღწერა არ განმარტავს მის მიზანს და არც იმას, თუ რა პრობლემა ან ნაკლოვანება გამოავლინა ექსპერტთა ჯგუფმა არსებულ პრაქტიკაში, რომლის გამოსწორებასაც ეს რეკომენდაცია ისახავს მიზნად.

ამავდროულად, აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული, სტრუქტურირებული და ხანგრძლივმოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესები და მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება მრავალწლიან პრაქტიკას და უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობას პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ყველა ეტაპზე. ეს მექანიზმები ზემოთ დეტალურად იყო წარმოდგენილი და განმარტებული, როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუების პროცესში.

შესაბამისად, გაუგებარია, რა დამატებითი ღირებულება მოაქვს წარმოდგენილ რეკომენდაციას არსებული ინსტიტუციური პრაქტიკის კონტექსტში. მისი ფორმულირება ბუნდოვანია და არ იძლევა საშუალებას, განიხილებოდეს როგორც სპეციფიკური, დასაბუთებული რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ვერ ხედავს ამ რეკომენდაციის აუცილებლობას და მიიჩნევს, რომ იგი არ ეფუძნება არსებულ პროცესებში რეალურ შეუსაბამობას ან დეფიციტს.

თუ რეკომენდაციას სწორად ჩავწვდით, მაშინ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი მექანიზმები უკვე უზრუნველყოფს ზუსტად იმას, რაზეც საუბარია. კიდევ ერთხელ რომ განვმარტოთ, პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების განხილვასა და ანალიზს ახორციელებს პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც შემდგომ საბოლოო განსახილველად წარუდგენს მას პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს. მხოლოდ ორივე საბჭოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება პროგრამის წარდგენა აკრედიტაციაზე. ამდენად, გადაწყვეტილების მიღების კოლეგიურობა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სრულად არის უზრუნველყოფილი, რის გამოც ამ რეკომენდაციის არსებობა გასაკვირია.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი უსდ-ის პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტები იზიარებენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და აუქმებენ 5.3 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის
სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.1	პროგრამის მიზნები	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1,3	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1,5	სასწავლო კურსი/ საგანი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**არ ეხება**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1	ადამიანური რესურსი	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**არ ეხება**

4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4,4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.5.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ტრადიციული მუსიკის საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება უნივერსიტეტის ზოგად მიზანს - შექმნას და გაავრცელოს ცოდნა, განავითაროს ადამიანური ღირებულებები და აღჭურვოს სტუდენტები წარმატებისთვის საჭირო უნარებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან.

ქართული ტრადიციული მუსიკის პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მუსიკოსები მრავალპროფილური განათლებით, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პრაქტიკული და თეორიული ცოდნით და ორიენტირებულნი იქნებიან ტრადიციულ (ავთენტურ) შესრულებაზე. პროგრამა ასახავს შესრულების, სწავლებისა და კვლევის ტრადიციებს ქართული ტრადიციული მუსიკის ორივე ძირითად მიმართულებაში - საგალობელში და ხალხურ მუსიკაში - და ეფუძნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ გამოცდილებას. პროგრამა უსვამს ხაზს ქართული ტრადიციული მუსიკის უნიკალურობას, რაც გამოიხატება პირველწყარო აუდიოჩანაწერების გამოყენებასა და ტრადიციულ შემსრულებლებთან პრაქტიკულ მუშაობაში; ეს ადასტურებს, რომ კურსი პედაგოგიურად დაფუძნებულია ამ სფეროს ტრადიციებსა და მეთოდებზე.

პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულები დაეუფლონ ავთენტური ქართული ტრადიციული შემსრულებლობის ძირითად პრინციპებს, მოდალურ-ინტონაციურ საფუძვლებს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ ქორეოგრაფიულ ელემენტებს. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სიმღერებისა და გალობების შესრულება სტილისტური მოთხოვნების შესაბამისად; მრავალხმიან სიმღერაში თავისუფლად ორიენტირება; ანსამბლში თავდაჯერებული შესრულება; პედაგოგიური უნარების განვითარება; ავთენტურ გარემოში ადაპტირება და ჩართულობა; და ექსპედიციებზე დაფუძნებულ კონტექსტებში კვლევითი უნარების განვითარება. ისინი ასევე უნდა ფლობდნენ გააზრებული შესრულებისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნასა და კონცეპტუალურ საფუძვლებს. სწავლის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გაზომვადია და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

პროგრამის დასრულების შემდეგ, ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლებს შეეძლებათ წვლილი შეიტანონ ქვეყნის კულტურულ პოლიტიკაში თავიანთი პროფესიული საქმიანობით. პროგრამა უზრუნველყოფს ქართული ტრადიციული მუსიკისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გაძლიერებას, რადგან ზრდის საზოგადოების ცნობიერებას ტრადიციული მუსიკის შესახებ და ხელს უწყობს მის შეფასებასა და დაფასებას. ფოლკლორულ და საეკლესიო მუსიკის ანსამბლებში, ასევე სახელმწიფო და კერძო კულტურულ ორგანიზაციებში დასაქმებისთვის სპეციალისტების მომზადება ნათლად ასახავს პროგრამის შესაძლო საზოგადოებრივ და კულტურულ გავლენას. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. თვითშეფასების ანგარიშში ინტერნაციონალიზაცია დასახულია როგორც გასაუმჯობესებელი მიმართულება, და ამ მხრივ დაგეგმილია რამდენიმე აქტივობა, მათ შორის: პროგრამის პოპულარიზაცია, აკადემიური ვიზიტები, სტუდენტთა მოზიდვა და ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავება.

პროგრამის შემუშავების ეტაპზე უნივერსიტეტმა შეისწავლა ანალოგიური პროგრამები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ („ქართული ტრადიციული მუსიკის" პროგრამის შედარებითი ანალიზი (საქართველოს უნივერსიტეტი) და ანალოგიური პროგრამები საქართველოში, უნგრეთსა და ფინეთში"). ასევე ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლებზე მოთხოვნის დასადგენად („შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნილებების ანალიზი" პოტენციურ დამსაქმებლებს შორის არიან ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის ანსამბლები, ასევე ტრადიციული მუსიკის სფეროში მომუშავე საჯარო და კერძო დაწესებულებები.

ინტეგრირებული კომპეტენციებით (ვოკალური–საგალობო და ინსტრუმენტული შესრულება) აღჭურვილი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა უნდა შეესაბამებოდეს შრომის ეროვნული ბაზრის საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში დიდი რაოდენობით რესპონდენტი მონაწილეობდა, მონაცემები სრულად არ ასახავს ტრადიციული მუსიკის შემსრულებლებზე რეალურ მოთხოვნას. არსებულ ანსამბლებში პერსონალის გადინების სიხშირისა და მასშტაბის, ახალი ანსამბლების ჩამოსაყალიბებლად ხელმისაწვდომი რესურსების, ასევე რეგიონული განსხვავებების დასადგენად საჭირო არის უფრო ყოვლისმომცველი და მრავალგანზომილებიანი კითხვარი; და, უფრო ფართო ჭრილში, ასეთი კითხვარი შექმნის შრომის ბაზრის საჭიროებების სტატისტიკურად გამყარებულ და სანდო ანალიტიკურ სურათს.

სასურველია წარმოდგენილი იყოს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც მკაფიოდ აღწერს გამოვლენილ ძირითად თემებს და აშკარად აჩვენებს კავშირს შრომის ბაზრის შედეგებსა და კურიკულუმის დიზაინს შორის. მაგალითად, სასარგებლო იქნებოდა ეჩვენებინათ, თუ როგორ აისახა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები პროგრამის კონკრეტულ მოდულში და რომელი კომპეტენციები ჩამოყალიბდა ინდუსტრიის წარმომადგენელთა ჩართულობის საფუძველზე. ასევე სასარგებლო იქნებოდა შრომის ბაზრის კვლევის გამოყენება იმის გასარკვევად, რომელი უნარები აკლია ამჟამად შრომის ბაზარს და კონკრეტულად რომელი პროფესიული დეფიციტების შევსებას ისახავს პროგრამა მიზნად. გარდა ამისა, სასურველია, ნათლად განისაზღვროს სამუშაო როლები, შეფასდეს კურსდამთავრებულებზე არსებული მოთხოვნა და განისაზღვროს კარიერული ტრაექტორიებისა და განვითარების შესაძლებლობები.

უნივერსიტეტთან გაფორმებულია ორი მემორანდუმი; მათი წარმომადგენლები დამსაქმებლების სტატუსით მონაწილეობდნენ ვიზიტში; თუმცა, ორივე მემორანდუმი პროგრამის სტუდენტებს სტაჟირების საშუალებას სთავაზობს და არა დასაქმების; შესაბამისად, აუცილებელია პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუების შედეგები.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- მემორანდუმები შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაციები.

1. რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შრომის ბაზრის კვლევასა და კურიკულუმის დიზაინს შორის მკაფიო და დოკუმენტირებული კავშირის გაძლიერება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ დაწესებულებამ პროგრამის დონეზე კიდევ უფრო განავითაროს და ოფიციალური გახადოს კურსდამთავრებულთა დასაქმების გზების აღწერა.
- სასურველია, რომ დაწესებულებამ გააერთიანოს არსებული აქტივობები ერთიან, პროგრამის დონეზე ჩამოყალიბებულ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზართან უწყვეტ შესაბამისობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ტრადიციული მუსიკის სიღრმისეულ შესწავლასა და პრაქტიკულ დაუფლებას. კურიკულუმში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგები. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ მკაფიოდ არის განსაზღვრული.

სწავლის შედეგების უმეტესობა კონცენტრირებულია საშემსრულებლო უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს შეასრულონ ხალხური სიმღერები, ინსტრუმენტული მუსიკა და საგალობლები ვოკალისა და იმპროვიზაციის მეშვეობით, ტრადიციული შემსრულებლობის ნორმების დაცვით. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიზანია, მისცეს სტუდენტებს თეორიული ცოდნა, რათა კურსდამთავრებულებმა იცოდნენ ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის საშემსრულებლო და ჟანრული კონვენციები, მათი ისტორიული განვითარების ეტაპები და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის თვალსაზრისით, სწავლის შედეგები ითვალისწინებს, რომ კურსდამთავრებულები დაიცავენ პროფესიულ ეთიკას, ეფექტურად ითანამშრომლებენ სხვებთან და დააფასებენ ტრადიციული კულტურის დაცვასა და პოპულარიზაციას. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარ სასწავლო საჭიროებებს და ორიენტირებულნი არიან მუდმივ განვითარებაზე, მათ შორის უფრო მაღალ აკადემიურ საფეხურებზე წინსვლისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველია და, საერთო ჯამში, თანმიმდევრულად არის სტრუქტურირებული. სწავლის შედეგების უმეტესობა გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. ისინი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს. სწავლის შედეგები პასუხობს პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა სწავლის გაგრძელების საშუალებას განათლების მომდევნო საფეხურზე. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა; თუმცა, სასურველია, რომ ეს ჩართულობა კიდევ უფრო გაძლიერდეს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იცნობდნენ პროგრამის ზოგად მონახაზსა და კონცეფციას, ისინი პირდაპირ არ მონაწილეობდნენ მის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუების შედეგები.
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;

<u>რეკომენდაცები</u>.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეკომენდებულია გაძლიერდეს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა, რათა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სრულად იქნეს გათვალისწინებული დასაქმების სფეროს მოთხოვნები;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. ამ დოკუმენტის (თავი 5, მუხლები 24–27) თანახმად, დაწესებულება პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებს როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ მეთოდებს.

პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება ონლაინ პლატფორმა UG ის მეშვეობით, სადაც სწავლის შედეგები დაკავშირებულია შესაბამის გამოცდებთან (გამოცდის კითხვებთან) და სხვა აკადემიურ აქტივობებთან. სისტემა აგროვებს მონაცემებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ და განსაზღვრავს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა შეფასდეს შესაბამისი კომპეტენციების განვითარება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდები გულისხმობს სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და პროგრამის პერსონალის გამოკითხვებს, ასევე აკადემიურ კონფერენციებს, სამეცნიერო აქტივობებს, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზს და ბაზრის კვლევას, რომელიც ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა და სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლებს. დებულება ასევე განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას და ვის აქვს პასუხისმგებლობა, გააცნოს ეს შედეგები პროგრამის განვითარების საბჭოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ როგორც არსებული, ასევე ახალი პროგრამებისთვის შესაძლებელია შეფასების სხვადასხვა მიდგომის გამოყენება. ეს მოქნილობა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან უზრუნველყოფს, რომ შეფასების ინსტრუმენტების განმეორებით გამოყენების შემთხვევაშიც კი თითოეული დისციპლინისა თუ პროგრამის სპეციფიკური თავისებურებები კვლავ იქნება გათვალისწინებული.

შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული და კარგად ორგანიზებული ინსტრუმენტები. თუმცა აკრედიტაციის დოკუმენტაციას არ ახლდა სპეციალურად ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამისთვის შემუშავებული სამიზნე ნიშნულების რუკა — ისეთი, რომელიც ასახავდა პროგრამის განსხვავებულ მახასიათებლებს, გამოიყენებდა შესაბამის ინსტრუმენტებსა და სიხშირეს, და უზრუნველყოფდა შეფასების შედეგების რეგულარულ მონიტორინგსა და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედარებას.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, სადაც ნათლად იქნება მითითებული, ინსტრუმენტების რომელი კონკრეტული კომბინაცია და რა პერიოდულობა იქნება გამოყენებული სწავლის შედეგების შესაფასებლად და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შესადარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- სწავლის შედეგების რუქა;

[რეკომენდაციები](#).

1. რეკომენდებულია პროგრამისთვის შემუშავდეს სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ინსტრუმენტ(ებ)ს და პერიოდულობას, რათა შეფასდეს სწავლის შედეგები და მოხდეს მათი შედარება დადგენილ სამიზნე ნიშნულები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის მეთოდოლოგიის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავების პროცესში ჩართული იყო პროგრამის შემუშავების საბჭო. პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და დარგის ექსპერტები.

პროგრამის შინაარსი და მასშტაბი სრულად შეესაბამება განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 ECTS კრედიტი, მათ შორის:

- კომპეტენციების ფორმირებაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსები – 150 კრედიტი (ECTS)

- საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევითი კურსები – 12 ECTS (6 ECTS სოციალური/ჰუმანიტარული მეცნიერებების ბლოკიდან და 6 ECTS კრედიტი STEM ბლოკიდან)
- არჩევითი კურსები - 18 ECTS კრედიტი;

პროგრამის უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას განსაზღვრავს მისი მიზანი — მოამზადოს ტრადიციულ (ავთენტურ) შემსრულებლობაზე ორიენტირებული მუსიკოსები. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის პროგრამა უარყოფს სხვადასხვა სტერეოტიპს, რომელიც დამკვიდრებულია მეორად (სასცენო) საშემსრულებლო პრაქტიკაში, აგრეთვე ქართული ხალხური მუსიკისა და გალობისთვის უცხო მოვლენებს (მაგ., მაღალი ხმების კოლექტიურ შესრულებას, დირიჟორობას და ა. შ.). ამის ნაცვლად, აქცენტი კეთდება სტუდენტების სოლოს შესრულების უნარებისა და იმპროვიზაციის შესაძლებლობების განვითარებაზე. სავალდებულო კურსებად შეტანილია "პრაქტიკა" და "ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა", და პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, ეს კურსები უნიკალურია და არ ისწავლება მსგავსი პროგრამების ფარგლებში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგივე ეხება არჩევით კურსს „ქართული ხალხური თამაშები“ (ბავშვებისა და უფროსებისთვის).

პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კურსზე დაშვების წინაპირობები, როგორც წესი, შესაბამისია, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში ჩანს შეუსაბამობები. მაგალითად, კურსს „ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა“ წინაპირობად განსაზღვრულია სამი კურსი (გალობა 5, ქართული ხალხური სიმღერა 5, ქართული ხალხური საკრავები 3), ხოლო კურსებს „ანსამბლი“ და „პრაქტიკა“ საერთოდ არ აქვთ წინაპირობები.

საკვალიფიკაციო ნაშრომის სილაბუსში (სასურველია კურსის დასახელების ინგლისურად დაზუსტება, რადგან საკვალიფიკაციო ნაშრომი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, რომელთა უმეტესობა პრაქტიკული/საშემსრულებლო ხასიათისაა) ნათქვამია, რომ "საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც არ აქვს აკადემიური დავალიანება პროგრამის სავალდებულო კურსებში". ამ ფორმულირების მიხედვით, გაურკვეველია, დოკუმენტი კურსს ეხება თუ საბოლოო გამოცდას და რომელი სემესტრის კურსებზე ვრცელდება ეს მოთხოვნა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საბაკალავრო ნაშრომი შეტანილია ბოლო სემესტრში, ორ სხვა სავალდებულო კურსთან ერთად.

საკვალიფიკაციო სილაბუსში ასევე ნათქვამია, რომ „საკვალიფიკაციო გამოცდა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს“. შესაბამისად, რეკომენდებულია მკაფიოდ გამიჯნოს თავად კურსის წინაპირობები და გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო სემესტრი მოიცავს სამ სავალდებულო კურსს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და სასწავლო კომპონენტები ლოგიკურად ვითარდება მარტივიდან რთულისკენ. თუმცა, გაურკვეველია პირველ და მეორე სემესტრებში განაწილებული კრედიტების რაოდენობა. ამ სემესტრებში სტუდენტებს ევალებათ დააგროვონ სავალდებულო კურსების 30 კრედიტი. ამავე დროს, პირველ და მეორე სემესტრებში გათვალისწინებულია არჩევითი კურსები. ამ ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტი პირველ წელს აგროვებს 60 კრედიტზე მეტს.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი, რომელიც უნდა დაემატოს სავალდებულო კურსების სიას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 12 აგვისტოს No 65/N ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად. ამ კურსის სავალდებულო კომპონენტების სიაში დამატება გარდაუვლად გამოიწვევს სასწავლო გეგმის განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები
- სწავლის შედეგების რუკა;

:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს პირველი ორი სემესტრისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების ინდივიდუალური კურსების სწავლის შედეგებთან შედარება და ანალიზი ადასტურებს, რომ კურსის დონის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული და მათგან გამომდინარეობს. კურსების შინაარსი ასევე შეესაბამება მათ შესაბამის შედეგებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირები სრულად არ არის ასახული კურიკულუმის რუკაში, სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომის გამო. მაგალითად, სწავლის შედეგების რუკის მიხედვით:

- მაგალითად, სწავლის შედეგების რუკის მიხედვით: შედეგი „ჩამოთვლის ქართულ მუსიკალურ დიალექტებს (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულებს), საგალობო სკოლებს და ახასიათებს მათ“ დაკავშირებულია მხოლოდ ქართულ ხალხურ სიმღერასთან 2–4, თუმცა ეს შედეგი ასევე უნდა იყოს დაკავშირებული გალობის კურსთან.

- შედეგი „ახდენს ტრადიციულ საკრავების კლასიფიცირებას; აკავშირებს ქართულ ხალხურ ინსტრუმენტულ მუსიკას მსოფლიოს ხალხების ინსტრუმენტულ კულტურასთან“ კურიკულუმის რუკაზე ნაჩვენებია, როგორც „ქართული ხალხური საკრავები 2“-ის მეშვეობით მიღწეული, თუმცა ამ შედეგის შესაბამისი თეორიული კომპონენტი რეალურად ისწავლება იმავე კურსის მესამე სემესტრში.

- შედეგი — „ფლობს ხუცურის კითხვის წესს“ სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომის გამო, უკავშირდება კურსს "ლიტურგია", მაშინ როცა ს შედეგი რეალურად შეესაბამება კურსს "Reading in Mode."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რათა სრულად და ზუსტად აისახოს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურსის სწავლის შედეგებს შორის.

კურსების უმეტესობა 6 ECTS კრედიტიანია. კურსები ერთმანეთისგან განსხვავდება ლექტორთან საკონტაქტო საათების რაოდენობითა და ხანგრძლივობით, რაც განპირობებულია მათი სპეციფიკით. პრაქტიკულ კომპონენტებთან ერთად, ბევრი კურსი თეორიულ შინაარსსაც მოიცავს,

რაც იმაზე მიუთითებს, რომ კრედიტების განაწილება - კერძოდ, საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის ბალანსი - კურსის შინაარსის შესაბამისია. თუმცა სასურველია, უფრო ზუსტად განიმარტოს სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო საათების გამოთვლის პრინციპი, განსაკუთრებით ეს ეხება წერითი დავალებების (პრეზენტაციების/რეზიუმეების) მოსამზადებლად გამოყოფილ საათებს. წერილობითი ნაშრომები და პრეზენტაციები ძირითადი სავალდებულო კურსების უმეტესობაში შეფასების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს; თუმცა, პროგრამის დოკუმენტაცია არ აკონკრეტებს ამ დავალებების გვერდების რაოდენობას ან ფორმატირების მოთხოვნებს. შესაბამისად, ძნელია იმის დადგენა, თუ საშუალოდ რამდენი საათი უნდა დახარჯოს სტუდენტმა მათ შესრულებაზე.

სწავლის შედეგების შეფასება კურსის შეფასების მითითებულია მეთოდებში და თითოეული კურსის სპეციფიკასთან შესაბამისობაშია. გამონაკლისს წარმოადგენს სწავლის შედეგი — „განიხილავს ანსამბლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხებს“, სადაც შეინიშნება გაურკვევლობა: კურიკულუმის რუკის მიხედვით ეს პროგრამის დონის შედეგი უნდა მიიღწეოდეს კურსის „ანსამბლი“ მეშვეობით, თუმცა კურსის სილაბუსში არა არის მითითებული აღნიშნული შედეგი ან შესაბამისი შეფასების ფორმები.

ასევე დასაზუსტებელია საკვალიფიკაციო ნაშრომთან დაკავშირებული მოთხოვნები, კომპონენტები და სამუშაო ფორმატები. სილაბუსში ნათქვამია: *„საკვალიფიკაციო გამოცდა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. კურსზე რეგისტრაციის შემდეგ, სტუდენტებს ეძლევათ დავალებები შემდეგ კომპონენტებში: 1. გალობა; 2 ხალხური მუსიკა; 3 წერითი ნაშრომი. თითოეული კომპონენტი ფასდება 100 ქულით... შუალედურ შეფასებას ატარებს ხელმძღვანელი (სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა ინსტრუქტორები თითოეული კომპონენტისთვის ხელმძღვანელებად).”* პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, სტუდენტებმა უნდა იმუშაონ სამკაციან ჯგუფებში. თუმცა, სილაბუსი არ აკონკრეტებს, იმუშავებს თუ არა ჯგუფი ერთსა და იმავე რეპერტუარზე და არც იმას აზუსტებს, ჩატარდება თუ არა შეფასება ინდივიდუალურად; რამდენი საკონტაქტო საათია გამოყოფილი ხელმძღვანელ(ებ)თან სამუშაოდ; უნდა უკავშირდებოდეს თუ არა წერილობითი ნაშრომი შესრულებულ რეპერტუარს და ა.შ. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის განსაზღვრულია სამი კომპონენტი, შეფასების კრიტერიუმების აღწერის ნაწილში მითითებულია მეოთხე კომპონენტიც — „რთული ქართული ხალხური სიმღერის ან მისი ნაწილის ნოტებზე გადატანა“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი, რათა მკაფიოდ განისაზღვროს მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და საკონტაქტო საათების განაწილება.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, მათ შორის აუდიო და სანოტო კრებულები და სხვა მასალები, შეესაბამება შესაბამისი კურსების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურა შეესაბამება დარგის მიმდინარე მდგომარეობას და მოიცავს როგორც თანამედროვე კვლევებს, ასევე შესაბამის სამეცნიერო გამოცემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის ბიუჯეტი;

[რეკომენდაცები](#).

3. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რათა სრულად და ზუსტად აისახოს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და ცალკეულ კურსებს შორის.
4. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი „განიხილავს ანსამბლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს" შესაბამისობაში მოვიდეს კურსის „ანსამბლი“ სწავლის შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი ისე, რომ მოიცვას მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და საკონტაქტო საათების ზუსტი განაწილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს და მკაფიოდ განისაზღვროს წერითი ნაშრომების/პრეზენტაციების მოთხოვნები ისე, რომ სტუდენტებს მიეცეთ კონკრეტული მითითებები, გამარტივდეს დავალებების შეფასება და ზუსტად იქნეს გაანგარიშებული სტუდენტების მიერ მათ მომზადებაზე დახარჯული დრო;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღება განისაზღვრება პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად (საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 29-ე მუხლი). ეს მეთოდოლოგია ითვალისწინებს როგორც შიდა, ასევე გარე შემზღუდველ ფაქტორებს, ასევე სტრატეგიულ კრიტერიუმებს. პროგრამის ბიუჯეტში ასახულია მიღებული სტუდენტების რაოდენობა (15), რაც შეესაბამება პროგრამისა და დაწესებულების ხელმისაწვდომ რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, სტუდენტები მიიღებიან უნივერსიტეტის შიდა შემოქმედებითი ტურის წარმატებით დასრულებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან მხოლოდ შიდა შემოქმედებითი ტურის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N224/N ბრძანების (2011 წლის 29 დეკემბერი) შესაბამისად.

შემოქმედებითი ტური მოითხოვს მაძიებლისგან მაღალი დონის მუსიკალურ და სმენით უნარებს, რომლებიც პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, როგორც წესი, ასახავს პროგრამის სპეციფიკას, დეტალურად აღწერს შიდა შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები ზოგადია, ისინი მთლიანად მიმართულია იმ მუსიკალური უნარების შეფასებაზე, რომლებიც ესაჭიროება პირს პროგრამაზე ჩარიცხვისთვის.

კერძოდ, შემოქმედებითი ტურის ზეპირი შეფასების დროს კანდიდატმა რამდენჯერმე უნდა მოისმინოს ხალხური სიმღერა ან მისი ფრაგმენტი, უნდა გააანალიზოს მისი აგებულება და ამის შემდეგ თავად შეასრულოს სიმღერის ყველა ხმა. მოსმენაზე ფასდება პირის ვოკალურ შესაძლებლობები, რიტმის გრძნობა, მუსიკალური მეხსიერება, ხმების გარჩევის უნარი და ვერბალური ტექსტის დამახსოვრების შესაძლებლობა. შემოქმედებით ტურს აქვს შედარებით მაღალი მინიმალური გამსვლელი ზღვარი — 71 ქულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოქმედებითი ტურის შეფასების მოთხოვნები უფრო დეტალურად უნდა დაზუსტდეს როგორც შინაარსობრივად, ასევე პროცედურულად:

შინაარსობრივი საკითხები:

- რეკომენდებულია დაზუსტდეს საგამოცდო სიმღერის ფაქტობრივი სირთულე და მოსალოდნელი ხანგრძლივობა.
- რეკომენდებულია: მუსიკალური კომპეტენციების განსაზღვრისას დაემატოს ტერმინი „ინტონაციური სისწორე“.
- რეკომენდებულია გამოქვეყნდეს მოსალოდნელი სირთულის დონის შესაბამისი სიმღერების ნიმუშები და/ან მოთხოვნილი იყოს წინასწარ შერჩეული სიიდან მომზადებული სიმღერის შესრულება.

პროცედურული საკითხები:

- რეკომენდებულია დაზუსტდეს, რამდენჯერ შესრულდება სიმღერა და რა იქნება თითოეული მოსმენის ხანგრძლივობა;
- რეკომენდებულია დაზუსტდეს, კანდიდატები ყურსასმენებით მოისმენენ თუ მათ გარეშე;
- რეკომენდებულია შემუშავდეს მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის შემადგენლობას და მათ პასუხისმგებლობებს, მათ შორის, აპელაციების/საჩივრების განხილვის პროცედურებს.
- ზეპირი ფორმატის გათვალისწინებით, რეკომენდებულია გაკეთდეს შემოქმედებითი ტურის ვიდეოჩანაწერი.

გარდა ამისა, სასურველია, ჩატარდეს ღია კარის დღეები დაინტერესებული კონკურსანტებისთვის.

აკრედიტაციის მიღებისას, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- საბაკალავრო პროგრამების რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაციები
- შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

6. რეკომენდებულია უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შემოქმედებითი ტურის შინაარსობრივი და პროცედურული მოთხოვნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განმცხადებლებისთვის ჩატარდეს ღია კარის დღეები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შექმნილია შემსრულებლების, კერძოდ, მომღერლებისა და მგალობლების მოსამზადებლად. კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკაზეა დაფუძნებული და აერთიანებს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კომპონენტებს. საბაზისო (ძირითადი) კურსები მოიცავს ქართულ ხალხურ სიმღერას, ქართულ საგალობელსა და ქართულ ხალხურ ინსტრუმენტულ მუსიკას. სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს მოდალური კითხვისა და ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძვლების სწავლება-გადამზადებას.

რამდენიმე კურსი მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ კომპონენტებს, მათ შორის: ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია, ლიტურგიკა, საველე კვლევა და ეთნომუსიკოლოგია. დისციპლინის (მიმართულების) სპეციფიკური არჩევითი კურსების გარდა, სტუდენტთა მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით, შეთავაზებულია უნივერსიტეტის ზოგადი მოდულები.

უნივერსიტეტის ზოგად კურსებთან ერთად, ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შესწავლა, ანსამბლური მუშაობა, ტრადიციულ გარემოში ოსტატობის დაუფლება და საველე კვლევა ხელს უწყობს ფართო სპექტრის ტრანსფერული უნარების შეძენას, განვითარებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ამ პრაქტიკული კურსების შეფასებას ახორციელებენ როგორც კურსის ხელმძღვანელები, ასევე ადგილობრივი მენტორები.

საერთო ჯამში, პროგრამა ორიენტირებულია საშემსრულებლო პრაქტიკაზე, იყენებს სიმღერისა და გალობის სწავლების საუკუნოვან ტრადიციას და ამავდროულად მოიცავს კვლევით ელემენტებს. კურსები შექმნილია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების

ყოვლისმომცველი კომბინაციის გასავითარებლად. სიმღერისა და საგალობელის მიმართულებით პროფესიული მომზადება სათანადოდ არის ორიენტირებული ავთენტურ შესრულებასა და ინდივიდუალური სტილის შენარჩუნებაზე; აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის ფართო პრაქტიკული, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილებით.

საგანმანათლებლო პროცესი მოიცავს ავთენტური წარმოდგენების აუდიოჩანაწერების მუდმივ გამოყენებას, ტრადიციულ შემსრულებლებთან ვარჯიშს და საველე ექსპედიციებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს პროგრამით მოთხოვნილი კომპეტენციების შეძენას.

პროგრამის კურსები ავითარებს უნარების ფართო სპექტრს, მათ შორის ტრადიციული მუსიკის პოლიფონიურ ტექსტურაში კოორდინაციას, ხმოვან ორიენტაციას, ხმების შერწყმას, ანსამბლურ შესრულებას, იმპროვიზაციას, მოდალურ აზროვნებას, სტილისტურ ცნობიერებას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საშემსრულებლო მახასიათებლების (მაგ., ორნამენტები, კრიმანჭული) ცოდნას, ინსტრუმენტულ ოსტატობას, ნოტაციის (ნოტირების) ტექნიკას, რეპეტიციებისა და კონცერტების პრაქტიკას, პედაგოგიურ ელემენტებს და ექსპედიციების მართვის უნარებს.

პრაქტიკული სიმღერა და გალობა გაძლიერებულია მთიების ფოლკლორულ ანსამბლთან და ლისიონის მონასტრის გუნდთან თანამშრომლობით. ხელმოწერილი მემორანდუმების ფარგლებში, სტუდენტების სტაჟირება შესაძლებელია, თუმცა ეს არ გულისხმობს დასაქმებას.

კურსები „ტრადიციულ გარემოში ოსტატობის დაუფლება“ და „საველე კვლევა“ დაგეგმილია ბოლო სემესტრში; თუმცა, ცოდნისა და უნარების ეტაპობრივი (თანმიმდევრული) ფორმირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, რომ „ტრადიციულ გარემოში სწავლებამ/ მომზადებამ“ წინ უსწრებდეს „საველე კვლევას“. აღნიშნული კურსები ქმნის ავთენტურ საშემსრულებლო კონტექსტებში სრულფასოვანი ჩართულობის ოპტიმალურ შესაძლებლობას.

ქართული ტრადიციული მუსიკის რთულ პოლიფონიურ ტექსტურებში ორიენტაცია მუსიკის თეორიაში მყარ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს მოითხოვს. მიღების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული მომზადების უკეთ მხარდასაჭერად, შემოთავაზებულია ინტეგრირებული კურსის - დაწყებითი მუსიკის თეორიისა და სოლფეჯიოს - გაფართოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური კურსების სასწავლო გეგმები
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- კურსები „ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა“ და „პრაქტიკა“ დაგეგმილია ბოლო სემესტრში; თუმცა სასურველია, რომ „ტრადიციულ გარემოში პროფესიული უნარების სრულყოფა“ წინ უძღოდეს „პრაქტიკას“, რაც უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების უფრო თანდათანობით და თანმიმდევრულ განვითარებას.
- მიღების მოთხოვნების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასურველია გაფართოვდეს ინტეგრირებული კურსი „მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო", რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის კურსდამთავრებული არის ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი, რომელიც ფლობს როგორც ქართულ ხალხურ მუსიკას, ისე ქართულ საგალობლებს და გააჩნია ავთენტური შესრულების უნარები. ამავდროულად, 180-კრედიტიანი, სამწლიანი საბაკალავრო პროგრამა, მისი მიღების მოთხოვნებისა და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, მოითხოვს

მრავალფეროვანი სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებას სასურველი შედეგების მისაღწევად.

თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა იყენებს სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამაში მითითებული მეთოდები მოიცავს: ზეპირ სწავლებას, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებთან მუშაობას, ნოტაციასთან მუშაობას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, გუნდური მუშაობას, სახელმძღვანელოზე დაფუძნებულ მუშაობას, შემთხვევის ანალიზს, განმარტებით მეთოდებს, დემონსტრირებას, დისკუსიას, როლურ თამაშს და ინტეგრირებულ მეთოდს (ერთდროული დამახსოვრება, იმპროვიზაცია, ხმოვანი ხელმძღვანელობა).

ეს მეთოდები გამოიყენება პრაქტიკულ აქტივობებში, როგორიცაა: რეპერტუარის ანალიზი; მუსიკალური ტექსტების კითხვა და ანალიზი; პრეზენტაციები; მუსიკის ტრანსკრიფცია (ჩაწერა) აუდიოჩანაწერებიდან; რეპეტიციები; კონცერტები; ტრადიციულ შემსრულებლებთან (ეთნოფორებთან) სწავლა; საველე სამუშაოები; სინკრეტული სწავლება (სიმღერა აკომპანიმენტით); ტრადიციული ინტონაციური მახასიათებლების გათვალისწინება (არატემპერამენტიანი ტონალობა); და მუსიკისა და ქორეოგრაფიის ინტეგრაცია.

თითოეული კურსი ხორციელდება სფეროს სპეციფიკის შესაბამისი მეთოდოლოგიით. აქცენტი კეთდება ყოვლისმომცველ, სინკრეტულ და ინტერდისციპლინურ მიდგომაზე. ბევრი კურსის უპირატესად პრაქტიკული და შესრულებაზე ორიენტირებული ბუნება უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. პროგრამა ასევე მოიცავს სიმღერისა და გალობის სწავლების ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიებს, განსაკუთრებით რეპერტუარის ზეპირად გადაცემას.

პროგრამის ძირითადი (საბაზისო) კურსები სტრუქტურირებულია სირთულის ეტაპობრივი ზრდის (პროგრესირებადი გართულების) პრინციპის შესაბამისად. ეს კურსები, თავისი არსით, მრავალკომპონენტიანია, ძირითადი კურსები ერთდროულად კონკრეტული უნარების შეძენის საშუალებას იძლევა, რაც მეთოდოლოგიურად აძლიერებს თეორიულ ცოდნას.

კურსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს წერილობითი ნაშრომების მომზადება, რაც ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აკადემიური წერის უნარების სწავლება აუცილებელია ან დამოუკიდებელი

„აკადემიური წერის“ კურსის ფარგლებში, ან სავალდებულო ქართული ენის კურსში ინტეგრირებულად, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 1 სექტემბრიდან საბაკალავრო პროგრამებისთვის სავალდებულო ხდება სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაცები](#).

7. რეკომენდებულია წერითი უნარებისა და კომპეტენციების განვითარება აკადემიური წერის სპეციალური კურსის მეშვეობით, ან მსგავსი შინაარსის კურსის ფარგლებში ინტეგრირებული ფორმატით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,3.სწავლება-სწავლის მეთოდები;	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. კურსის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები აღწერილია სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის დროს სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, აკადემიურ პერსონალთან ერთად განიხილონ საკუთარი მიღწევები და მათი გაუმჯობესების გზები.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების სხვადასხვა ფორმას (მაგ., ზეპირი ან წერილობითი სემინარები, რომლებიც ტარდება რამდენიმე კვირაში ერთხელ, შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაცია და საკურსონაშრომი). საკურსო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური ნაშრომების გაფორმების ინსტრუქცია APA სტილის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის დაცვაც სტუდენტებისთვის სავალდებულოა დავალებების შესრულებისას. ასევე მოქმედებს Turnitin-ის გამოყენების სახელმძღვანელო/ინსტრუქცია.

საბოლოო გამოცდები ტარდება საქართველოს უნივერსიტეტის LMS პლატფორმაზე, სადაც ფუნქციონირებს უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მორგებული საგამოცდო მოდული. საგამოცდო პროცესი გამჭვირვალეა: შეფასების დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს არა მხოლოდ ქულას, არამედ ლექტორის მიერ სისტემაში უშუალოდ შეტანილ უკუკავშირსაც. LMS პლატფორმა ინსტრუქტორებს საშუალებას აძლევს, სტუდენტებს მიაწოდონ განმარტებები/კომენტარები კონკრეტულ კითხვებთან ან (დარჩენილ) შეცდომებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, ლექტორებს არ აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, თუ რომელი სტუდენტი ასრულებს კონკრეტულ დავალებას — სისტემა უზრუნველყოფს გამოცდების ანონიმურობას, ხოლო სტუდენტთა პერსონალური მონაცემები ავტომატურად იშიფრება.

სტუდენტს სისტემაში აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს საკუთარ საგამოცდო ნაშრომს, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში შეუძლია კონკრეტული შეფასება უშუალოდ პლატფორმის საშუალებით გაასაჩივროს. ყველა შეფასება და შესაბამისი გამოხმაურება აღირიცხება „ონლაინ UG“ პლატფორმაზე. სტუდენტებს ამ ინფორმაციაზე შეუფერხებელი წვდომა აქვთ პირადი სტუდენტური პორტალის — „ჩემი UG“-ს მეშვეობით.

საქართველოს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ადგილზე დათვალიერებამ აჩვენა, რომ სივრცე სრულად არის აღჭურვილი და შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს. გამოცდის დღეებში სტუდენტთა დაშვება ხორციელდება სახის ამოცნობის სისტემის მეშვეობით,

რაც უზრუნველყოფს, რომ გამოცდაზე დაიშვან მხოლოდ ის პირები, ვისაც შესაბამის თარიღსა და დროს გამოცდის ჩაბარება აქვს განსაზღვრული.

საგამოცდო სივრცის შიდა ორგანიზებაც აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული: კამერებისა და ზედამხედველების (პროქტორების) დახმარებით უზრუნველყოფილია, რომ სტუდენტებმა გამოცდის მიმდინარეობისას არ გამოიყენონ დაუშვებელი მასალები და არ გადაიწერონ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო სწავლების რეგულაციები
- სილაბუსები
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი (MY UG)
- საუნივერსიტეტო ნაშრომების APA სტილის შესაბამისად მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები
- Turnitin-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაცები](#).

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.4.სტუდენტების შეფასება:	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და

დოქტორანტებისათვისუზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, დაწესებულება აწყობს საორიენტაციო დღეებს, რომელთა მიზანია სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. ამ სესიების დროს სტუდენტები ეცნობიან აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს და გადიან ტრენინგებს, რაც ხელს შეუწყობს მათ საუნივერსიტეტო გარემოსთან ადაპტაციას და სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციას.

გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ბიბლიოთეკის რესურსების, ელექტრონული კატალოგების გამოყენებისა და სასწავლო მასალებზე წვდომის გზების შესახებ, რაც არსებითია მათი დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობისთვის .

სასწავლო პროცესის ეფექტური დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებს საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ „MY UG“ სისტემის მეშვეობით. ეს პლატფორმა სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხს წარმოადგენს, და საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დეტალური ინფორმაცია აკადემიური პროცესის, საუნივერსიტეტო აქტივობების, სტუდენტური ცხოვრების, დასაქმების შესაძლებლობების, კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების, გამოცდების განრიგის, ფინანსური საკითხების და სხვა საკითხების შესახებ. ნებისმიერი საჭირო საკითხის მოსაგვარებლად სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია შიდა შეტყობინებების საშუალებით.

უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახური, ასევე სტუდენტური ცხოვრებისა და ინიციატივების სამსახური.

კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახური სემესტრის განმავლობაში ორგანიზებას უწევს ტრენინგებსა და პრაქტიკულ სემინარებს, რომლებიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სამსახურის მოძიება, რეზიუმეს შედგენა, წარმატებული გასაუბრების ტექნიკები და შრომის ბაზარზე პროფესიული პოზიციონირება. ამ სერვისის მეშვეობით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ. ასევე

ყოველწლიურად ტარდება დასაქმების ფორუმი, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ დაუკავშირდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს, წარმოაჩინონ საკუთარი გამოცდილება და მიიღონ ინფორმაცია მათი აკადემიური და პროფესიული ინტერესების შესაბამისი ვაკანსიების/პოზიციების შესახებ.

სტუდენტური ცხოვრების და ინიციატივების სამსახური წარმოადგენს პლატფორმას, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი იდეების რეალიზაცია. სამსახური ოპერირებს კლუბური სისტემით, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად დააფუძნონ კლუბი, წარმოადგინონ პროექტები და მიიღონ როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური მხარდაჭერა.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დებულების შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ფარგლებში სტუდენტებისთვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები. აღნიშნული ინდივიდუალური ჩართულობა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შესაბამისი აკადემიური კონსულტაცია. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს სწავლის დაწყებისას მიეწოდებათ.

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული, რომელსაც სერვისების განვითარების დეპარტამენტი ეწოდება. აღნიშნული სამსახურის/განყოფილების ძირითადი ფუნქციები მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალისთვის გაწეული მომსახურებების ხარისხის კვლევასა და მონიტორინგს, ასევე გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. განყოფილება ორიენტირებულია მომსახურების პროცესების ოპტიმიზაციაზე, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა-რეაგირებაზე, ასევე დამხმარე პერსონალის (ფრონტ-დესკის თანამშრომლების) შეფასებაზე. ასევე, მისი პასუხისმგებლობის სფეროში შედის მომსახურების სტანდარტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მისი დანერგვა/განხორციელების უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტმა შესაბამის ფაკულტეტებს მიაწოდა ინფორმაცია ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის დაგეგმილი აკადემიური და კლასგარეშე აქტივობების შესახებ, მათ შორის: სტუდენტური კლუბის ყოველთვიური სემინარები, კონფერენციები და საგანმანათლებლო ტურები/ექსკურსიები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023–2024 სასწავლო წელს შესაბამისი ფაკულტეტებიდან (ინგლისური ფილოლოგია, არქიტექტურა, აღმოსავლეთმცოდნეობა) ექვსმა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მობილობის პროგრამებში რომის საპიენცას უნივერსიტეტში (Sapienza University of Rome), ალთინბაშის უნივერსიტეტში (Altınbas University), დუზჯეს უნივერსიტეტში (Duzce University) და რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტში (Riga Technical University).

კერძოდ, „ქართული ტრადიციული მუსიკის“ პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 7–8 თვის წინ დაარსდა ტრადიციული ხელოვნების სკოლა, რომლის მიზანია სასკოლო ასაკის მოსწავლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საფეხურებრივი საგანმანათლებლო ჯაჭვის (კონტინუუმის) შექმნა საბაკალავრო პროგრამამდე მისასვლელად. განათლება სტრუქტურირებულია სამ საფეხურად, რომელთაგან მესამე საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას საბაკალავრო სწავლებისთვის. სკოლის მიზანია ასევე ბავშვებში მუსიკალური აზროვნების განვითარება. ასევე ფუნქციონირებს ტრადიციული ხელოვნების კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია ტრადიციული მუსიკის სფეროში სამეცნიერო ექსპედიციებისა და პუბლიკაციების ორგანიზება. ექსპედიციებისთვის შეძენილია აუდიო-ვიდეო აპარატურა, ხოლო ადგილზე ეწყობა ჩამწერი სტუდია. ასევე დაგეგმილია კონფერენციები. ასევე მიმდინარეობს ტრადიციული მუსიკის ონლაინ-ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც განთავსდება ტრადიციული მუსიკის ჩანაწერები და ისინი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება თავისუფლად. ასევე იქმნება ფოლკლორული ანსამბლი. ნოემბრის ბოლოდან დაგეგმილია პოდკასტის დაწყება, რომელიც მოიცავს ხალხური სიმღერების შესრულების, ქორეოგრაფიის, მათი ისტორიისა და სხვა დაკავშირებული საკითხების განხილვას და მიზნად ისახავს ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, დაგეგმილია სიმღერის ფესტივალი. ასევე, ახლახან დაფუძნდა ხელოვნების კლუბი, რომელშიც ძირითადად მეორე კურსის სტუდენტები არიან ჩართულნი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინიციატივები პროგრამის ფარგლებში აქტიურ ჩართულობას ადასტურებს, მათი მასშტაბი ძირითადად ლოკალურ დონეზე რჩება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ძალისხმევა, რათა გაიზარდოს საერთაშორისო ხილვადობა, გაფართოვდეს აკადემიური პარტნიორობები და გამდიდრდეს სასწავლო გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების სამუშაო დატვირთვა, როლები და პასუხისმგებლობები.
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;
- ინფორმაცია სამეცნიერო საქმიანობის, სტუდენტური სერტიფიკატების შესახებ
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახურის დებულება
- აკადემიური (სამეცნიერო) პერსონალის დებულება
- სტუდენტური განყოფილების რეგულაცია
- სერვისების განვითარების დეპარტამენტი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- შესაბამისი პროგრამების სტუდენტთა კლასგარეშე აქტივობები.

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების დატვირთვა, როლები და პასუხისმგებლობები.
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში;

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს საერთაშორისო აქტივობები გლობალური ხილვადობის გაზრდის მიზნით, გააფართოვოს აკადემიური პარტნიორობა და გაამდიდროს სასწავლო გარემო.

- სასურველია, მოწვეული ლექტორები უფრო სისტემურად ჩაერთონ მიმდინარე პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- ➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- ➢ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ ეხება

[რეკომენდაცები](#).

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და

დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი, მათი კვალიფიკაციის, პრაქტიკული ექსპერტიზისა და აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას და პროგრამის მდგრადობას.

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ სფეროში ხანგრძლივი შემოქმედებითი, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილების მქონე ლექტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპლექსურ, ინტეგრირებულ სასწავლო პროცესს და სტუდენტებს სთავაზობენ პრაქტიკული და თეორიული ცოდნის დაბალანსებულ კომბინაციას. პერსონალი შედგება ეთნომუსიკოლოგების, მუსიკოლოგების, ქორეოგრაფების, ხალხური საკრავების ოსტატ შემსრულებლებისა და ქართული საგალობლის სპეციალისტებისგან. პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს წამყვანი ანსამბლების ხელმძღვანელობის გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ ფოლკლორულ ინსტიტუციებს. მაღალი კვალიფიკაცია პერსონალს სრულად აძლევს შესაძლებლობას, უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის განხორციელებაში სულ 22 აკადემიური და მოწვეული თანამშრომელია ჩართული. მათ აქვთ საჭირო განათლება, გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება მათ პროფესიულ მოვალეობებს. თითოეული თანამშრომელი იცნობს თავის უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს, როგორც ეს განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და მათი სამუშაო აღწერილობებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მართვასა და ადმინისტრირებაში, ასევე სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ჩართულია აკადემიური პერსონალის ნაწილი, აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიმართულების ძირითადი დისციპლინური კურსების რამდენიმე წამყვანი ლექტორი მოწვეული პერსონალია. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია უნივერსიტეტში შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულებას აქვს დადგენილი სამუშაო დატვირთვის სქემა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის. უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის არსებული შეთანხმების

საფუძველზე, ყოველი სემესტრის დასაწყისში ხდება დატვირთვის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება, რათა პერსონალმა სრულფასოვნად და სათანადოდ შეძლოს დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

მაგალითად, უნივერსიტეტში სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალი კვირაში 40 საათის განმავლობაში (დღეში 8 საათი) მუშაობს. ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალი დასაქმებულია საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების მიხედვით. ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომლებს შეიძლება შესთავაზონ ექსკლუზიური ხელშეკრულება, რომელიც კრძალავს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებას. სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 1,760 საათს (კვირაში 40 საათი 44 კვირის განმავლობაში) და, სასწავლო საქმიანობის გარდა, მოიცავს კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტის ღონისძიებებში მონაწილეობას, სალექციო მასალისა და შეფასების კომპონენტების მომზადებას, სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებას, კვლევითი საგრანტო წინადადებების შემუშავებას და სხვა აკადემიურ დავალებებს.

ინსტიტუციას ასევე განსაზღვრული აქვს ყოველკვირეული სასწავლო-საკონსულტაციო დატვირთვის მოთხოვნები: სრულგანაკვეთით დასაქმებულმა აკადემიურმა პერსონალმა, რომელიც არ იკავებს სამეცნიერო თანამდებობას, კვირაში არანაკლებ 28 საათისა უნდა განახორციელოს სასწავლო-საკონსულტაციო საქმიანობა; უფროსმა მკვლევრებმა — არანაკლებ 35 საათისა კვირაში და ა.შ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს დაახლოებით 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი დასაქმებულია აკადემიური პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში (პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადამიანური რესურსების სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, იურიდიულ სამსახურში, IT დეპარტამენტში და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პოლიტიკის თანახმად, ადმინისტრაციული პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომლებიც ინსტიტუციური ლოიალობის მაღალ დონეს ავლენენ. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ადმინისტრაციული პერსონალის

ნებაყოფლობითი გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 15%-ს, რაც მიუთითებს პერსონალის შენარჩუნების 85%-იან მაჩვენებელზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**12**	**4**	**12**	**12**
- პროფესორი	7	2	4	7
- ასოცირებული პროფესორი	5	2	3	5
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	5	5	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პროცესის აღწერა (HR- PD- 01)
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ინდივიდუალური პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- საგანმანათლებლოპროგრამის რეგულაცია
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაცები](#).

8. რეკომენდებულია გაიზარდოს შესაბამის სფეროში დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შესაბამისად, შემცირდეს სავალდებულო კურსებისათვის მოწვეული პერსონალის გამოყენება.

---

[4]ძირითადი
სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1. ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ ეხება

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	არ ეხება

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და გუნდთან ჩატარებული ინტერვიუების განხილვამ აჩვენა, რომ დაწესებულებას აქვს სტრუქტურირებული, რეგულარული და მრავალმხრივი პერსონალის შეფასების პროცესი, რომელშიც ჩართულია რამდენიმე დაინტერესებული მხარე და განსაზღვრულია შედეგების ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების მკაფიო მექანიზმები.

უნივერსიტეტში რეგულარულად და სისტემატიურად ხორციელდება შეფასებები, რომლებიც ტარდება როგორც ადმინისტრაციის, ისე სტუდენტების მიერ. სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან თანამშრომლობით, შეფასებებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს. სტუდენტთა შეფასებები ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს და ონლაინ კითხვარის მეშვეობით მოიცავს როგორც პერსონალის, ისე პროგრამის კომპონენტების შეფასებას. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს უსაფრთხოდ ინახავს სკოლის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შედეგები კი ანონიმური ფორმით განიხილება სკოლის საბჭოს სხდომებზე.

გარდა ამისა, პერსონალის შეფასების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია დაწესებულების მუდმივი ხელმძღვანელი პირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის/ადამიანური კაპიტალის სამსახურის წარმომადგენლებისგან, პერსონალს ფორმალურად აფასებს წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად. შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის, დაწინაურების, ანაზღაურების კორექტირების, ტრენინგების დაგეგმვისა და სხვა HR-თან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც მიუთითებს, რომ მონაცემები მხოლოდ არ გროვდება, არამედ სისტემურად მუშავდება, ანალიზდება და შედეგებზე ხდება რეაგირება .

აკადემიური პერსონალი პირდაპირ პასუხისმგებელია კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, კვლევის ჩატარებასა და ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად უწყობს ხელს პროფესიულ ზრდას თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებისა და აკადემიური პრაქტიკის შესახებ პერიოდული ტრენინგების ორგანიზებით. უნივერსიტეტმა ასევე დანერგა ინოვაციური ინიციატივები, მათ შორის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიის ტრენინგი (საწყისს იღებს Erasmus-ის STAR პროექტიდან), და აღნიშნული ტრენინგი ამ ეტაპზეც გრძელდება უნივერსიტეტის შიდა ფორმატში. პერსონალის CV-ების განხილვის საფუძველზე იკვეთება, რომ „ქართული ტრადიციული მუსიკის“ პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში და ატარებს ვორქშოფებს, მათ შორის Erasmus+-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი გამოხატავს ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს ახალ თანამშრომლებს უნივერსიტეტში დამკვიდრებული პროფესიული განვითარების პრაქტიკის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პუბლიკაციისთვის გრანტის მინიჭების წესი
- კადრებით უზრუნველყოფა
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთიკის კოდექსი
- საგანმანათლებლო პროგრამის რეგულაცია
- პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები

9.რეკომენდებულია შემუშავდეს უფრო სისტემური მიდგომა პროფესიული განვითარების ტრენინგების და მათი შედეგების მონიტორინგისთვის;

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და მათი შედეგების მონიტორინგისთვის შემუშავდეს უფრო სისტემური მიდგომა.
- სასურველია, მოწვეული ლექტორები უფრო სისტემურად ჩაერთონ მიმდინარე პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის განხილვამ, ადგილზე ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ, აგრეთვე შემდგომმა განხილვებმა პერსონალთან ერთად, ცხადყო, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის განხორციელებისთვის აუცილებელ და მოთხოვნილ ინფრასტრუქტურასა და შესაბამის რესურსებს. პროგრამას უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიებით ინტერაქტიული სწავლებისთვის, ასევე რეპეტიციებისა და საკონცერტო სივრცეებით, პროგრამის შემოქმედებითი და საშემსრულებლო კომპონენტების განსახორციელებლად; გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცეები, ოფისები და შესაბამისი აღჭურვილობა, რომლებიც მხარს უჭერს სწავლება-სწავლის პროცესსა და სასწავლო საქმიანობას; ხოლო უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური. ფიზიკური გარემო საკმარისი და კარგად მოვლილია, რაც ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებასა და კვლევას.

პროგრამის განსახორციელებლად ახალი, სპეციალური სასწავლო სივრცეების მშენებლობა მიმდინარეობს, მათ შორისაა დამატებითი სარეპეტიციო სივრცეები, ჩამწერი სტუდიები და საკლასო ოთახები. სარეპეტიციო დარბაზებსა და ზოგიერთ საკლასო ოთახებში არის ფორტეპიანო. ხმის იზოლაცია მონტაჟდება შესაბამის/განსაზღვრულ სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს შენობაში ხმაურის დონის შემცირებას. უნივერსიტეტმა განახორციელა ინვესტიცია ჩამწერი სტუდიის აღჭურვილობაში, რომელიც მონტაჟდება ამ მიზნით გამოყოფილ ორ სივრცეში. პროგრამას ექნება დიდი დარბაზი, რომელიც წარმოადგენს ეფექტიან სივრცეს კონცერტებისა და საშემსრულებლო ღონისძიებების ჩასატარებლად. უნივერსიტეტმა ასევე შეიძინა ტრადიციული

საკრავები პროგრამის მხარდასაჭერად. გუნდთან დისკუსიისას წარმოჩინდა ვალდებულება, უზრუნველყონ რესურსების შენარჩუნება და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.
ინფორმაციისა და სასწავლო რესურსების თვალსაზრისით, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა მუდმივად განახლებად ბიბლიოთეკის რესურსებზე, როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ ფორმატში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ფართო სპექტრზე, როგორიცაა JSTOR, Hinari, Scopus და ScienceDirect. სრულყოფილი აკადემიური რესურსები აკმაყოფილებს სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და იძლევა მასთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობის განხორციელების საშუალებას. ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, არსებობს ონლაინ კატალოგი რომელიც დაკავშირებულია საგნების სილაბუსებთან. ასევე ხელმისაწვდომია დამატებითი სასწავლო სივრცეები კომპიუტერებზე წვდომით, ხოლო უნივერსიტეტი მთელ კამპუსზე უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას.

ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს დარგობრივი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი კომპეტენციებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მასალებზე. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულებების, დამხმარე დოკუმენტაციისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია საკმარისი და შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო რესურსებითა და მხარდამჭერი სისტემებით, რაც ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ობიექტებისა და რესურსების შემოწმება ადგილზე ვიზიტის დროს
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ასახული ფინანსური რესურსების, ბიუჯეტისა და გუნდთან გამართული განხილვის საფუძველზე დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენის პროცესში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული მოთხოვნები, სასწავლო მასალები და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი კომპონენტები ფინანსურად არის უზრუნველყოფილი. ბიუჯეტის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, ბიუჯეტი განხილულია და შეთანხმებულია სკოლის დირექტორთან, ხოლო დამტკიცებულია ფინანსური მენეჯერისა და ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ. მრავალსაფეხურიანი განხილვის პროცესი უზრუნველყოფს, რომ გამოყოფილი რესურსები იყოს რეალისტური, განხორციელებადი და მდგრადი.

დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები პროგრამის სრულად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. დაფინანსება მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კლასგარეშე აქტივობებს, რაც აჩვენებს, რომ ბიუჯეტი მხარს უჭერს ყოვლისმომცველ სასწავლო გამოცდილებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯები მიმართულია აკადემიურ პერსონალზე და პროგრამის პირდაპირი მხარდაჭერის ხარჯებზე, რაც მიუთითებს, რომ ფინანსური რესურსები ძირითადად იხარჯება არსებით საგანმანათლებლო ფუნქციებზე.

ფინანსური გეგმა მოიცავს პროგრამის სრულ ციკლს, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან სტაბილურობას. როგორც ეს ასახულია თვითშეფასების ანგარიშში და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებშიც დადასტურდა, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ვერ შეძლებს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, დამატებითი დაფინანსება გაიცემა სკოლის

ბიუჯეტიდან და უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, რაც ადასტურებს პროგრამის მხარდაჭერის რეალურ ვალდებულებას და სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფას. რისკების მართვის ეს მექანიზმი იცავს პროგრამის განხორციელებას ნებისმიერი პოტენციური ფინანსური დატვირთვისგან.

პროგრამა თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული, რაც მიუთითებს მის ძლიერ ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე. ეს დამატებით განამტკიცებს მისი ფინანსური უზრუნველყოფის მიზანშეწონილობასა და სტაბილურობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისობაშია პროგრამის დიზაინსა და საჭიროებებთან, არის ეკონომიკურად განხორციელებადი და რეალისტურად დაგეგმილი; იგი დამტკიცებულია მტკიცე ადმინისტრაციული პროცედურების ფარგლებში და უზრუნველყოფს პროგრამის სათანადო დაფინანსებას, მათ შორის, ჩაშენებული ფინანსური უსაფრთხოების მექანიზმებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4,5.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ რეგულაციებსა და ნორმებს, ასევე დაწესებულების მენეჯმენტის მიერ შემუშავებულ არაერთ მნიშვნელოვან რეგულაციას. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციები და ნორმები ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზნად ისახავს ინსტიტუციური განვითარების პროცესების მართვასა და შეფასებას, ასევე განვითარების ახალი ეტაპების იდენტიფიცირებას, რათა შემდგომში გაძლიერდეს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ცენტრალიზებულად ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებთან კოორდინაციით, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კოლეგიურ ორგანოებთან და პროგრამების განვითარების საბჭო I-თან (PDC) მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული კოორდინატორები მიმდინარე პროცესების მაქსიმალურად სრულყოფილად შემუშავებასა და დანერგვაში აქტიურად არიან ჩართული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასებების ჩატარება როგორც შიდა, ასევე გარე მექანიზმების გამოყენებით;
- აკადემიური პროგრამების შეფასება შიდა და გარე პროცედურების მეშვეობით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება, გაუმჯობესება და დანერგვა;
- აკადემიური უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზება;
- აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივების განხორციელება;

- ინსტიტუციური და პროგრამული შეფასების მხარდასაჭერად, ასევე საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე მიდგომების გაზიარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფით დაკავებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა დეტალურად არის აღწერილი საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია რექტორთა საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის ოქმით, N51/20). მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და გაუქმების დებულება. ზემოაღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც მიზნად ისახავს ინსტიტუციური ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა განისაზღვრება, როგორც გამჭვირვალე და მუდმივი ქმედება, რომელიც დაფუძნებულია აკადემიურ პატიოსნებასა და ანგარიშვალდებულებაზე, რაც დაწესებულების უწყვეტი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ის იყენებს ორ მექანიზმს: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გრაფიკს და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვეს პროცესები დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. დოკუმენტი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მოიცავს აკადემიური პროგრამების შემუშავებისთვის აუცილებელ ყველა ინფორმაციასა და პროცედურას. აღნიშნული პროცესები დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. დოკუმენტი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მოიცავს აკადემიური პროგრამების შემუშავებისთვის აუცილებელ ყველა ინფორმაციასა და პროცედურას. დაწესებულების რეგულაციების თანახმად, პროგრამის აკრედიტაციის კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს სასწავლო პროგრამების შექმნისა და მოდიფიცირების შესახებ. მის სამუშაო პროცესში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (მაგ., აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულთა წარმომადგენლები, დამსაქმებლები). რეგულაციაში ასახული მიზნების მისაღწევად, დაწესებულება ცდილობს უნივერსიტეტის პერსონალის მხარდაჭერას მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობების მეშვეობით.

აკრედიტაციის პროცესები სწორად და მიზანმიმართულად იყო დაგეგმილი. პირველ ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების კვლევები, ხოლო მიღებული შედეგები გაანალიზდა და დამუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მხოლოდ დამსაქმებლები, ვინაიდან პროგრამა ახალია და ამ ეტაპზე კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს. ფოკუს -ჯგუფის წევრები იყვნენ საქართველოში მოქმედი

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და დამოუკიდებელი კოლექტივები, აგრეთვე რეგიონული კულტურული სამსახურები. დამსაქმებლების ჯგუფში შედიოდნენ: რეგიონების კულტურის სამსახურების წარმომადგენლები; სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფოლკლორული ანსამბლები; თვითმოქმედი კოლექტივები; ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები. სულ გამოიკითხა 52 რესპონდენტი: კულტურის სამსახურის 5 წარმომადგენელი; სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 3 ანსამბლი; 13 თვითმოქმედი კოლექტივი; ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 31 ადამიანი.

გამოკითხვა შემდეგ თემებს შეეხო:

1. ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ახალი პროგრამის დანერგვის აუცილებლობა.

2. ახალი პროგრამის როლი ტრადიციული წარმოდგენების პოპულარიზაციაში.

3. შემსრულებლების რაოდენობა, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი კომპეტენცია აქვთ გალობაში, სიმღერასა და ტრადიციულ ინსტრუმენტებზე დაკვრაში.

4. ასეთი კომპეტენციის მქონე შემსრულებლების მნიშვნელობა ანსამბლის გარემოცვაში.

5. ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაციაზე ორიენტირებულ დაწესებულებებში მსგავსი კომპეტენციების მქონე, მათ შორის საექსპედიციო უნარებით აღჭურვილი პერსონალის დასაქმება.

დაწესებულებამ გამოკითხვის მონაცემები დაამუშავა და გრაფიკულად წარმოადგინა; თუმცა მიზანშეწონილი იქნება, რომ სამომავლო ანგარიშებში კვლევითმა ჯგუფმა გრაფიკულ ვიზუალიზაციებთან ერთად უზრუნველყოს ანალიზის დეტალური ინტერპრეტაციაც.გარე შეფასებების ჩასატარებლად დაწესებულება აღნიშნულ პროცესებს ელექტრონული ფორმატით ახორციელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, IT დეპარტამენტთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ელექტრონული შეფასების მოდელი, მათ შორის ONLINE UG პორტალი. ეს მოიცავს ელექტრონულ საგამოცდო მოდულს, სადაც საგამოცდო მასალები რეგულარულად, სემესტრულად ახლდება. განახლების აღნიშნული პროცესი მოითხოვს, რომ ლექტორ-მასწავლებლებმა პერიოდულად განაახლონ საგამოცდო კითხვები, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან სწავლის შედეგების პირდაპირი გაზომვა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის ეს კითხვები შესაბამისობაში განსაზღვრულ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებთან. სტუდენტები გამოცდებს ელექტრონულად აბარებენ, ხოლო სისტემა ზუსტად ასახავს თითოეულ მათთვის მინიჭებულ კონკრეტულ კითხვაზე მიღებული სწორი პასუხების პროცენტულ მაჩვენებელს.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს კითხვებზე პასუხების შესრულების დონის ზუსტ შეფასებას როგორც ინდივიდუალური სტუდენტის, ისე ჯგუფის დონეზე. პროგრამის

შემუშავების საბჭო შემდგომში აანალიზებს ელექტრონულ ფორმატში ჩატარებულ შეფასებებს. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის კონტექსტში აღნიშნული მექანიზმი ასევე წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების პროცესების მართვას. პროგრამის შეფასება კოლეგიურად ხორციელდება პროგრამების განვითარების საბჭოს (PDC) მიერ, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმების გამოყენებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება უნივერსალურად დამკვიდრებულ პრინციპს — „დაგეგმვა–განხორციელება–შეფასება–გაუმჯობესება“ (Plan–Do–Check–Act), რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიან მიდგომას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა შეიძლება ჩაითვალოს ამ ციკლის გადამწყვეტ აქტივობად. ამ კვლევის თვისებრივი ნაწილის შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა არა მხოლოდ გამოავლინა საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეები, არამედ დანერგა არაერთი ინოვაცია საგანმანათლებლო პროგრამებში მის მიერ დადგენილი ზომების შესაბამისად. შიდა შეფასების მასალების მიმოხილვა მიუთითებს, რომ დაწესებულება შიდა შეფასებას განიხილავს როგორც გარე შეფასებისათვის აუცილებელ და პრაქტიკულად მნიშვნელოვან წინაპირობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის ოქმით, N 51/20)
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

[რეკომენდაციები](#).

10. რეკომენდებულია დაწესებულებამ წარმოადგინოს არა მხოლოდ გრაფიკული დიაგრამები, არამედ გამოკითხვის დროს მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის დეტალური ინტერპრეტაციაც;

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს NCEQE-სთან, ასევე უცხოურ და სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- *კურსდამთავრებულთა შეფასებების ანალიზი თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით;*
- *დამსაქმებლის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასადგენად თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით (ტარდება სამ წელიწადში ერთხელ);*
- *აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით ჩატარებული კვლევა, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, პროგრამის შედეგების გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირებისა და სწავლების მეთოდების, ლიტერატურისა და შესაბამისი კომპეტენციების განახლებული მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით (ჩატარდება ორ წელიწადში ერთხელ);*
- *აკადემიური პროგრამის გაუმჯობესებისა და განახლების მხარდასაჭერად მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი (ტარდება სამ წელიწადში ერთხელ).*

ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალი იყო, პროგრამის მენეჯმენტს არ შეეძლო კურსდამთავრებულებს შორის გამოკითხვის ჩატარება. პროგრამის მენეჯმენტს მხოლოდ დამსაქმებლების გამოკითხვის ჩატარება შეეძლო, რომლის შედეგებიც შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშში იყო აღწერილი.

ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირველი გარე შეფასება ახლახან ორგანიზებული იყო სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ, რომლის შედეგებიც დაწესებულებამ სრულად არ მიიღო/არ გაიზიარა. გარე შეფასებებს დაემატა პროგრამის ანალიზის შედეგები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა გარე ექსპერტის მიერ იქნა შეფასებული, რომლის დროსაც საგნის ექსპერტმა ახალ სასწავლო გეგმაში ჩართვისთვის ორი

ძირითადი რეკომენდაცია წარმოადგინა (პრაქტიკული სწავლება და ანსამბლში სასწავლო კურსი).

პროგრამის ადგილის განსაზღვრის მიზნით როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზარზე, დაწესებულებამ მოამზადა სპეციალური შედარებითი ანალიზი საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ანალიზისთვის შეირჩა ოთხი უნივერსიტეტი (ერთი ქართული და სამი უცხოური), მათ შორის გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი, ჰელსინკის უნიარტი (სიბელიუსის აკადემია), ლისტ ფერენცის სახელობის მუსიკის აკადემია და ნირეგიჰაზას უნივერსიტეტი და შედარდა მათი სასწავლო გეგმები. ანალიზის პროცესში განხილულ იქნა კურიკულუმებიც.. აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის (საგანმანათლებლო პროგრამების) პორტფელში შესაბამის დანართებად წარმოდგენილ ანალიზის დოკუმენტში დაწესებულებამ დეტალურად გააანალიზა ყველა პროგრამის როგორც მსგავსებები, ისე განმასხვავებელი მახასიათებლები და მკაფიოდ განსაზღვრა საკუთარი სეგმენტი საქართველოს შრომის ბაზარზე; კერძოდ, დაასაბუთა, რომ პროგრამის მიზანი არის მხოლოდ არტისტების მომზადება (და არა, მაგალითად, „მმართველების/დირიჟორების“ — როგორც ეს „გალობის უნივერსიტეტის“ მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაშია).

უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს თანამშრომლობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს კომუნიკაცია პროგრამის საჭიროებებთან დაკავშირებით, ხოლო მიღებული ინფორმაცია შემდგომ განიხილება პროგრამების განვითარების საბჭოს (PDC) მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის ოქმით, N 51/20)
- მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

[რეკომენდაცები](#).

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5,2.გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს ჰყავს პროგრამის შემუშავების საბჭო (PDC), რომელიც პასუხისმგებელია არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაზე, არამედ მის შეფასებასა და ყველა იმ პროცესზე, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს მონიტორინგის ფარგლებში. ეს საბჭო შედგება წევრებისგან, რომლებსაც შეუძლიათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შეფასების პროცესებში თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად, კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგისტრანტები, რომელთა ამოცანაა პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი მათი შესაბამისი კომპეტენციების შესაბამისად. პროგრამის შემუშავების საბჭო აანალიზებს და აყალიბებს მიღებულ ინფორმაციას პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მიხედვით, უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით.

პირდაპირი შეფასება ადასტურებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება გულისხმობს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების შესწავლას პროგრამის სასწავლო პროცესებისა და სწავლის შედეგების მიმართ. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს სპეციალურად შემუშავებულ კითხვარებს, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს:

1. სასწავლო კურსების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას სტუდენტების მიერ ყოველი სემესტრის ბოლოს;

2. პროგრამის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ;

3. კურსდამთავრებულთა კვლევას;

4. პოტენციური და ამჟამინდელი დამსაქმებლების გამოკითხვების;

5. პროგრამის შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

მონიტორინგის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომლის დროსაც განიხილება და ფასდება შემდეგი მონაცემები: პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების შესაბამისობა; სასწავლო და საგამოცდო მასალები; საგანმანათლებლო და საგამოცდო პროცესები; გამოცდების შედეგების ანალიზი; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობა; სტუდენტური გამოკითხვების მონაცემები; სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი, მათ შორის, გამოცდების შედეგები. დაწესებულებაში მონიტორინგის პროცესს სისტემური ხასიათი აქვს, რაც გულისხმობს მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სისტემატურ განხორციელებას; შესაბამისად, საკითხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაშიც დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს რეკომენდაციების დოკუმენტს, რომელიც იქნება განხილული და შემდგომი ღონისძიებები დაიგეგმება შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის კოორდინატორების ჩართულობით.

აკრედიტაციისთვის წარდგენილი საბაკალავრო პროგრამა ნაწილობრივ იყო ინტეგრირებული მიმდინარე მონიტორინგის პროცესში. პროგრამაში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რამდენიმე შემთხვევაში, ისინი ჩართეს პროგრამაში . თუმცა, იმ რეკომენდაციებთან მიმართებით, რომლებიც არ იქნა მიღებული/გაზიარებული, პროგრამის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა დასაბუთებული არგუმენტაცია საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად. **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის ოქმით, N 51/20)
- პროგრამების განვითარების საბჭოს სხდომის ოქმი
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

[რეკომენდაცები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5,3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან